

~~K 1213~~
~~K 1 1~~

323(04)

K 1213

მ ა მ უ ლ ი ს

სიყვარული და მსახურება.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დღითი მადლით ფიზიკურად და იდე-
 ტებს ხელ-ხელა ჩვენი ქართულობა, მო-
 ძრახვას იწიებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვე-
 ყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვეს-
 წარით, როცა ქართულ კაცსაც საზოგა-
 დებრივი გრძნობა გაუფრდა ტანში, ის
 გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ
 ბევრი რამ ჰქვია ჩვენს ქვეყანას, ბევრი
 საერთო საჭიროება გვაქონია... ამ ცდი,
 თუთხმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი
 გრძნობისა ან გაგების ხსენებაც არ ყოფი-
 ლა. მოვიგონათ ის წყეული და ბნელით-

K 1213

მოსილი ღრთ, რომელიც ამას იქით ღმერთ-
 მს ნუ მოასწროს ჩვენს მამულს! განსჯეთ,
 ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავის-
 თავად და თავისთვის მოქმედებდა. მას
 შეტი რამე მიზანი როდი ჰქონია—ჩინო
 ვიშოვნო, სამსახურში დაწინაურდე, შე-
 ძლებს შევიძინო. მისი კეთილის-მყო-
 ფელი მარტო ის იყო, ვინც ამ ჩინის
 შოვნას უადვილებდა, ვინც ამ დაწინაუ-
 რებსში ეხმარებოდა ან ამ შეძენაში ხელს
 უწყობდა. ქვეყნის დამღუბელიც რომ
 ყოფილიყო ის კაცი, რომელიც ჩვენ ჩი-
 ნის ან ადგილის მიღებაში გვშეუღებდა,
 ჩვენ მაინც თავუჯანს-ვცემდით მას, მაინც
 ღმერთად მიგვაჩნდა: ყოველი მისი სურ-
 ვილი ჩვენთვის კანონი იყო. რაკი ეს კაცი
 ზიარდათ ჩვენ გვაბედნიერებდა, როდიდა
 ვგრძობდით, რომ მთელის ჩვენის ქვეყ-
 ნისთვის ის იქნება მავნებელი ყოფილიყო.
 სხვის რა ჯავრი მაქვსო, თუქრობდა ჩვენი

კაცი, მე ხომ მრგებსო, მე ხომ მწუა-
 ლობსო! ჩემთვის კი კარგი იქოს, და
 დანარჩენმა ქვეყანამ თუნდ თავი შავ ქვას
 ახალდოსო!.. უკვლავ ჩვენგანი ამ აზრის
 იყო, უოკული კაცი ცალკ-ცალკე სდევდა
 თავის ბედს, კერძოდ ეძებდა საკუთარ კე-
 თილ-დღეობას... თუ დავინახავდით, რომ
 ეს ჩვენი კერძოდ გამაბედნიერებელი ჩვენს
 მეზობელს არ წყალობს, ჩვენც მის წა-
 ბადებით, მის მოსამადლიერებლად, ამ მე-
 ზობელს მტრად ვიქცევდით. ვაბუნებ-
 დით ამ მეზობელს, ვდევნიდით, ვაწვა-
 ლებდით... იმის მოსაზრება ჩვენ როდ-
 გვქონდა, იქნება ბედის ჩარხი უკუღმაც
 დატრიალდეს, და ხვალ საკუთრად ჩვენ
 დაგვიწიონ დევნა ან წვალება, ისე, რო-
 გორც დღეს ჩვენს მეზობელს ეზერობიან
 ჩვენის შემწეობით... ხშირად ვხედავდით
 ხოლმე, რომ ჩვენს ხელის-გამწეობელს
 ჩვენი ენა არ მოსწონდა, ჩვენი ჩვეულება

არ ეპიტონავებოდა. ჩვენც, მის სასიამოვნოდ, შეურაცხყოფით ვეპყრობოდით ამ ენას და ჩვეულებას. ვიმეორებდით: ქართული ენა რაღათ ვარკავ, ქართული ჩვეულება რის გამოსადეგია... კი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღების, გვრცხვენოდა, გვეთავკილებოდა, გვეგონა გლეხკაცად, „მუეიკად“ ჩაგვთვლიან, თუ რუსულად არ ვისაუბრეთ... ვის ჰქონდა მაშინ იმის გაგება, და ვინ იტყოდა, რომ ჩვენის ზიზღი კეთილდღეობისთვისაც საჭირო არისო დედა-ენის ცოდნა, თანამემამულეების ძმობა, მათი დახმარება...

გასსოფო, კიდევ, ოთხიოდე ახალგაზრდა კაცი გამოგვეზარდა, ამ ოცე წლის წინათ, რომელთაც ქადაგება დაიწიეს, წერით თუ სიტყვით, ქართულები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო, ერთობა და ძმობა ვიქონიოთო, ერთმანერთს ხე-

ლი გაუუწყოთ და დავეხმარათო, ამითი, მხოლოდ ამითი შეიძლებაო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება... რა ხარხარი დააყარა მათს ქადაგებას ჩვენმა საზოგადოებამ, რომელიც იმ დროს მარტო ჩინური ნიკებისა და აფიცრებისგან შედგებოდა!

— ქართულმა ენამ რა უნდა მარგოსო, თუქრობდენ და ბძანებდენ მაშინ ჩვენი ტუზები, ჩვენი ჩინიანი და გავლენიანი ქოსები. შე თქვენ მოგახსენებ, ჩინს მომცემენ ან ჯამაგირს მომიმატებენ ქართული ენის ცოდნისთვის! რა საჭიროა ეს ქართული ლექსები ან ჟურნალები? უსაქმობის გამო სჯდაბნიათ ეს ჩვენი თერგდალეულები... ბევრს უნდა ახსოვდეს დღესაც ეს და ამგვარი „გონიერი“ სიტყვები ჩვენის ქოსებისა...

გავიდა ოცი წელიწადი. რაღას ვხედავთ დღეს? ვხედავთ, რომ თვითონ ეს ქოსებიც კი გრძნობენ ქართული მწერ-

ლობის საჭიროებას. გამოუგდეს რამეულ-
 სამე მათგანს შვილი გომნაზიიდან, ან
 უსამართლად გადუწევიტეს საქმე სამსა-
 ჯუღაში, ან გზა ადარ მისცეს სამსახურ-
 ში თუ სასწავლებელში, მაშინ თვითონ ეს
 ქონები ხელში კაღამს აიღებენ და „დრო-
 ბაში“ სწერენ: „ვიღუბებით, ბატონო-
 გზა შეკრული აქვს ჩვენებურ კაცს, და-
 მშევასა და დაბრძალებას გვიპირებენ“. .
 მარტო კალმით და წერით კი არ ქადა-
 გობს ამას: იგი თავის მეზობელს უახ-
 ლაფდება და ხედავს, რომ თნივე ერთ
 ტაფაზე იწვიან თურმე, რომ მათთან,
 იმავე ტაფაზე, ბევრი სხვა ჩვენებური კაცი
 უთიღა და მწვარ-დადაგული... გრძობს
 ამას, და თანდათან უფრო უახლავდება
 მასავით შეწუხებულს ადამიანებს, მათთან
 ერთად ტყობილობს, რომ ნიაფი კარგი
 რამ არის, რომ ღვთის გაჩენილი ქვე-
 უანა და ბედნიერება უვკლას მათგანისათვის

დანშუღი და მიუწევნელი ყოფილა...
 თუ კი ეს უველაიერი ქოსებმატ კაიკეს,
 რაღა თქმა უნდა, რამ სხალგანდობას,
 სხალთაობას ათასჯერ უფრთ ადგილათ და
 ღრმად შექედებოდა ამ გრძნობის შეთვი-
 სება... ჩინიან ქოსებს, უწინდელ ღრმში
 მანტ, დედობრივი სიუვარულით ეზერ-
 ბოდენ... იმათ ძველი ამაგიდგანაც ღარ-
 ჩენილი აქვთ ხსოვნა მანტ... სხალთა-
 ბათა კი თავიდგანვე დედინაცვალი ერ-
 გოთ ბედათ, კაზასი, უმცწყალთ, ძუნწი
 და მძულვარე დედინაცვალი... ძველ ქო-
 სებს უკეთესი მაგალითები მანტ არ ენა-
 ხათ, რამ თავიანთი ბედი მათთან შექდა-
 რებიათ. სხალთაობათა კი ბევრი სხვისი
 ცჯახნი ენახათ, ისეთი ცჯახნი, საცა დე-
 დამთილი, კი არ კაზასობს, ნაზად,
 რეგორც მოსიუვარულე დედა, საუვარელ
 შვილებს ალერსით აბედნიერებს... რაღა
 კასაკვირველია, მაშასადამე, რამ სხალ-

განდებს ათასჯერ უფრო მწვავად უნდა
ეგრძნოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვ-
რების ნაკლულევანება, ჩვენი დაფანტუ-
ლობა და უთავობა...

ამასთან დრომაც იმოქმედა, ცოტათი
არ იუეს. რაკი რუსეთის მთავრობამ, სა-
კუთარი მიზნის მისაწევნელად, საჭი-
როდ დაინახა, გამოეყენებოდა სხვადა-
სხვა სლავიანური ხალხების თვისტომობა,
და რაკი მათი მაგალითის წახედვით ჩვენს
საზღვარზედაც შეიძრა სომხობა, — ჩვენ
ქვის გული და თიხის ტვინი ხომ არ
გვეჩნდა, რომ ჩვენც არ გვეგრძნოთ თვის-
ტომობის დიქსება ან ჰატევი? ჩვენს სა-
კუთარ თვალწინ, ორიოდ-სამი წლის გან-
მავლობაში, სომეხს ერთი მტკავული ტანი
მოემატა. გუშინ რომ წელმოხრილი იუ-
ეს კაცი, გუშინ რომ მის ხმის გაცემას
ანაფინ კადრულობდა, დღეს ჩვენს თვალ-
წინ ის გაიმართა, გამაგრდა, გამაყდა.

მან დღეს თავისპატივი იკრძნო, თავისი
 ფასი შეიტყო. დღეს მას უკუაქვს კრიტიკა,
 უკუაქვს პატივსაცემი, უკუაქვს თავისიანად
 ეჭვობა და ფართო გზას აძლევს... რამ
 შიანნიჭა მას ეს ბედნიერება? „სომხობამ“,
 „მთელი სომხობის ძალამ“. ჩვენც მივხვ-
 დით, ამისგამომ... რამ „ქართველობაც“
 რამ სადმე იყოს, „მთელი ქართველობის
 ძალაც რამ სადმე აჩვენებდეს, იქნება
 ჩვენც გავიმართოთ წიქში, იქნება ჩვენც
 გაგვიადვილდეს ცხოვრება, იქნება სხვისი
 სათრევი აღარ ვიყოთ, იქნება სხვის პა-
 ტივისცემის ვეღირსოთ... სხვათა შორის
 ამანაც თვალი აგვიხილას, ამანაც გამოგვა-
 ფხიზლას და გვაგრძნობინას ჩვენი საკუთარი
 თვისებები...

იქნება უკუაქვს ეს საფუძვლები ჩვენგანს
 არავის ჰქონდეს კარგად გამოკვლეული,
 ნათლად ახსნილი, მაგრამ მათს ძალას უკუ-
 აქვს ვეშობებით, ზოგი მეტად, ზოგი ნა-

კლებ. უგულას ვგრძნობთ, რომ ამ უკას-
 ნასკნულ წლებში რაღაც ახალი, უცნობი
 ძალა წინ გვწევს ან მოსვენებას ან გვა-
 ძლევს. ზოგს ჩვენგანში ერთობ ღონიუ-
 რად მოქმედებს ეს ძალა, ზოგში—ნა-
 კლებად. მაგრამ უგულას კი მის გაგულენას
 ქვეშ არის. ახლანდელი ჩვენი მოძრაობა
 ამით განიხილვა: იმას სტიქიური ძალა
 აქვს. ის ერთ კატს კი არ მოუხდენია,
 ან საზოგადოებას კი არ გაუზრდია: ღრმად
 მოიტანა, გარემოებამ გააძლიერა... უო-
 ველი სტიქიური მოძრაობა ღირსშესასწავ-
 ლია, თუ კი კატს სურს, რომ ეს მო-
 ძრაობა მისი საზოგადოებისთვის სასიკე-
 თოდ გამოდგეს, და არა დამღუბულად.
 სჯობს (მაგალითით ვილახარაკეთ. წყაღიერ
 სტიქიური ძალაა. ჩინებული რამ არის
 ქვეყნისთვის წვიმა, რომელიც მოსავალს
 ზრდის და აუხვებს, ან მდინარე, რომელი-
 შიაც ხალხი ჰყოფს საშუალებას წყურ-

ვილის მისაკლავად, ტიუების სატარებლად, უანების მისარწმუნად და სხვ. მაგრამ თუ მათის ვიზიზია ნიადაგად იქცა, უანებს ერთიანად წააქვს და თესვს გადარეცხს... თუ მდინარეს კატმა უადგილო ადგილს წავაქვს დაუწყო, თუ სარწმუნო ლეკების ან საწინააღმდეგო ტოტების თავი ცუდ ადგილს გაუკეთა, მდინარე რომ მოდიდდება, მთელ უანებსა და მინდვრებს გადაიარს, წააქვს, დააქცევს. გონიერმა ხალხმა კარგად უნდა შეისწავლოს წყლისა და მდინარის თვისება, კარგად უნდა მოიხმაროს ის ღონე, რომელიც ამ სტიქიისთვის ბუნებას მიუცია, თუ სურს, რომ ამ ძალამ ახეიროს... ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სსსრკებზე იყოს, ან მარტო მანუბელი. ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სსსრკებზე კატისთვის და ზოგჯერ მანუბელ-

ლი. მისი სიტუდე და სიკარგე ხმარებაზე
ჭკიდა. მტოდნე და მხერხებული კაცის
ხელში საწამლაფიც კი მკურნალობს, და
უტვინო ბავში რძის საჭამადშიაც კი და-
იხრჩობს.]

თუ ამ მახარებას გავიხსენებთ, ად-
ვილად მივხვდებით—რა სასარგებლო უნ-
და იქონი ჩვენის საზოგადოებისთვის დამ-
ჯდარი, მეცნიერული გამკვლევა და გა-
ცნობა იმ ახალი ძალისა, რომლის აღძრვა
ჩვენში დიად სამედიკო საქმედ, დიად ბედ-
ნიერ ნიშნად მიმაჩნია... ამ ნაწერის მი-
ზანიც—თუ დარი დამიდგა—ეს გამ-
კვლევა იქნება.

I.

მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არ მომხდარა, რომ ხალხს დიდ-ხნობით დავიწყობული ჰქონდეს თავისი თვისტომობა და შემდეგ აღძრულიყოს მასში, შემდეგ გაძლიერებულიყოს საზოგადოებრივი გრძნობა, მამულის სიუფარული, მამულის მსახურება. დედამიწაზე ერთი ძლიერი ხალხი არ არის ისეთი, ერთი კაკალი, რომელსაც ეს მდგომარეობა არ გამოეფლას, რომლისამე სხვა ხალხის გონებითს გაუფენას ქვეშ არ ეტხფრფოს და ბოლოს თავისი თვისტომობა არ გაენსენებინოს. ზოგმა დიდი ხანია რაც მოიზოვა ეს თავისი თვისტომობა, ზოგმა გუშინ შეიძინა ის, ზოგი კი დღესაც მისი შოვნისთვის იბრძვის, ან მის მოზოებაზე შრომობს და სრუნავს. მაგრამ უფუელგან და უფუელთვის ერთხანრი გზა გამოუფლიათ უფელა

იმ ხალხთა, რომელთაც ეს ბედი ღირსე-
 ბიათ. მათი გაზრდა, გაძლიერება და გან-
 ვითარება ერთგვარის გზით მიდის წინ,
 ერთგვარის კიბით ადის უმაღლეს განვი-
 თარების წერტილამდე. თითოეულ საფე-
 ხურს ამ კიბისას თავისი სწორი და მსგავსი
 საფეხური აქვს, როგორც ეგუა სხვა
 ხალხების აღსამაღლებელ კიბეებს. ნაბიჯ-
 ნაბიჯად იდგამს ფეხს კაცობრივობა და
 წინ მიდის. რა გზაც ხუთს, ექვსს, ან
 ოცს ხალხს ოთხი ნაბიჯით გაუვლია, მას
 ვერცერთი სხვა ხალხი ერთი გადახტომით
 ვერ გაივლის. მართალია, ზოგი ხალხი ად-
 ვილად ან უცფად გაიბრუნს ამ ნაბიჯებს,
 ზოგი კი ლოკოკინსავით ფორთხვით გა-
 დახრჩდება ამ გზაზე. ზოგი ამ ერთი-ორი
 ნაბიჯის გადადგმას ოცს, ოცდაათს წელი-
 წადს მოასწრებს, ზოგი კი ორ-სამ საუკუ-
 ნესაც მიაღწევს ამ გაულას... მაგრამ ეს კია
 უფელთვის, რომ აღნიშნული გზა და ნა-


ბიჭები აუცილებლად გასაფლავი აქვს
 უფულ ხალხს, რომელიც გონებითს
 ცხოვრებას ეჩვენებს, ან საზოგადოებრივ
 ჩვეულებას ითვინებს...

ავიღოთ, მაგალითად, თუნდ რუსეთი,
 და ვნახოთ, რა სტადიები გამოუვლია
 რუსების საზოგადოებას მისი თვისტო-
 მობის შეგნებისა და შეთვისებისათვის.

მოგეხსენებათ, რუსეთი ჯერ სწორედ
 ისე განკერძოებულად ცხოვრობდა და
 უცხო ქვეყნელებს ისე ერიდებოდა, რომ
 გარე უწინდელ საუკუნოებში საქართვე-
 ლი იქცეოდა. ზეტრე ზირველამდი რუსე-
 თი მარტო თავის თავს იცნობდა და მარ-
 ტო თავის ჭკუით ცხოვრობდა. ერთობ
 უკან ჩამოჩნა ის ამის გამო, ერთობ და-
 სუსტდა, ერთობ დაგლახდა. ეს მიდი-
 ნებულად და დაუძლეურებულად ხალხი ზეტ-
 რე ზირველამა აიფანა და ევროპის განათ-
 ლებულ ცხოვრებაში შეაგდა. ბევრი რუს-

თაკანი წაფარნილდა მასინ, ბევრმა უარი
 თქვა, ბევრმა თვალი დახუჭა, მაგრამ და-
 ჟა აღმართს ხნავსო, იმისი არ იყო,
 დრომ თავისი ჰქმნა. (თითქმის ამგვარივე
 საქმე მოხდა ჩვენში, როცა, ამ საუკუნის
 დამდეგს, აქ რუსის წესი შემოვიდა...)
 არეულ-დარეული იყო მასინ რუსეთის სა-
 ზოგადოება: ზოგი ძველს ცხოვრების
 გზას ადგა, ზოგი მაიმუნსავით ბაძვიდა
 ახალს. ბევრი სისხლი დაიღვარა ამასო-
 ბაში, ბევრი წინააღმდეგობა ატედა...
 შემდეგ გამეფდა ეკატერინე დიდი, რო-
 მელმაც ჰეტრესავით ძალადობა კი არ
 იხმარა, უფრო ოსტატურად შეუდგა საქ-
 მეს. ის იშვიათად ხმარობდა ძალდატანე-
 ბას. ვისაც გსურთ, ძველებურად წვერი
 მოუშვითო, მაგრამ ვისაც ჩემი დაახლო-
 ვება უნდა, ვინც ჩემგან რასმე მოელოს,
 მან ევროპული განათლება უნდა მიი-
 ღოსო. ის აწილდოვებდა მწერლობას,

რამეულიც იმ დროს ევროპიული შუქრ-
 ლობის ბრძა წამბაძვი იყო. თვითონ
 აწსებდა თეატრს, რამეულიც ვითომც
 ევროპიული თეატრის მსგავსი იყო, დიდ-
 კაცობაში ევროპიულ ტეკვასა, მორთვასა
 და მოკაზმვას ავრცელებდა, ევროპიულად
 ცხროფრობდა და თავის საზოგადოებას
 ევროპიულად მდიდრულ ცხროფრებას აჩუკ-
 ღდა. რაღა ბევრი გაზაგრძელა, ის სწო-
 რედ ისე ეჭრობდა რუსის საზოგადო-
 ებას, რაც მრც ვარანტოვი ჩვენს ქვე-
 ეანას... და რასაც ზეტრე ზირველმა—
 გენიოსმა—რუსეთი ძალით ვერ შეახვია,
 რაც ჩვენში ერმელოვმა—დიდმა და ჭკუ-
 იანმა ერმელოვმა—ვერ მოახერხა, ის
 რუსებს ეკატერინემ და ქართველებს
 ვარანტოვმა ალერსით თუ მსტატობით
 შეაზარა. შეაზარა ბრმა, მამუხური, გარე-
 განი წამბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა
 და ცხროფრების...



უეჭველია, უველას მათგანს, კულში, იქნება კეთილი და ზატიოსანი მიზანი ჰქონდა: უთუოდ უველას უნდოდა თავისი სამმართველო ხალხი უცხოეთის განათლებით გაებდნეებოდა, აღეჭურვა იგი დაწინაურებული ხალხების იარაღით, თუ გამომცდილებით. მაგრამ ეს იარაღი და გამომცდილება არსად სჩანდა, ხალხს კი მართლ უცხოეთის გარეგანს ტანისამოსს ატეუდენ. ცდილობდენ, რომ რუსის ხალხი გაენემეტებოდათ ან გაეფრანცუშებოდათ, და ქართველები — გაერუსებოდათ. ის ავიწყლებოდათ, რომ უოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერაფერს გაანემეტებს, ქართველს ვერაფერი გაარუსებს; შესაძლებელია ქართველს ჩიხის მაგიერ ზიზუნის ჩაცვა, ბოხჩის მაგიერ შაჰკა დაახურო, ქალამნის მაგიერ — წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც

ქართუელის დარჩება... და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანტუხსავით ისტუნოს, ან ნემეტსავით იშრომოს, ან ქართუელმა რუსსავით გეუმოს, მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ... ამნაირ გარეგან წაბაძვას გამოეკიდა ვეველას; ამგვარ მაიმუნურ ან მასკარადულ „გადასხვაფერებას“ მიაღიეს ხალხის უმჯობესი დრო და თითქმის მთელი საუკუნე... მაინცა და მაინც სრულიად უმნიშვნელო ან უნაყოფო როდი დარჩენილა ეს გარეგანი წაბაძვაც. ბევრი სიკეთეც მოუტანა მან ხალხს. მაგალითად თუნდ თეატრი ან მწერლობა ავიღოთ. უწინ ყურნალ-გაზეტებს მარტო წაბაძვით აარსებდენ, თეატრებსაც წაბაძვით მართავდენ... „როგორ იქნებაო, ჰარიუში და ლონდონში თუ იმდენი ყურნალ-გაზეტები გამოდის, იმდენი თეატრები მოქმედებს,

ჩვენში კი რატომ არ უნდა იეოსო. ვინც
 ამას შეიტყობს ან დაინახავს, ხომ მაშინ-
 ვუ ბარბაროსს დაგვიძახებს! “ ამ მოსახ-
 რების ძალით, მარტო წაბადვით, არსდე-
 ბოდა ჩვენში და რუსეთში „წამხედავი“
 მწერლობა ან თეატრი. დიდხანს საქმე
 მართლაც მარტო „წამბადველობით“ ბრუ-
 ნავდა. როგორც სათერანგეთში ან გერმან-
 იაში იყო რასინი, კლავშტოკი, კორნე-
 ლი, ისე რუსებსაც ეგონათ, რომ ამ
 მწერლების წამბადვი ჩვენი მჯლახნელები
 „რუსეთის რასინები“ ან „კორნელები“
 არიანო. მაგრამ შემდეგ ამ წამბადვი მჯლახ-
 ნელებს გამორიენ და მორიენ ნამდვი-
 ლი მწერლები, ნამდვილი ნაციონალური,
 ნიჭით შეიარაღებული, და წერა და ბეჭ-
 დვა მათ ხელში მართლაც მწერლობად გა-
 დაიქცა. მიმბადვი მწერლობის დამაარსებ-
 ლებმა ბევრი ირტყეს მაშინ თავში, ბევ-
 რი ინანეს—რათ მოვიხვეით თავზე ამ-

გვარი „მოწინააღმდეგობა“, მაგრამ მწერ-
 ლობის მოსზობა კი ადარ შექდლოთ.
 „ჩვენ გვსურდა გასართობი, სხამო დროს
 გამატარებელი, თავის შემაქტევიარი რაიმე
 დაგვეარსებინათ, ამობდენ ისინი, და
 ამის მაგიერ კი ისეთი მწერლობა დაარს-
 და, რომელიც საქმეებში ერევა, მსჯე-
 ლობას იწუებს, უფროსებს ჰკიცხავს,
 ხალხს ზრდის და ადვიძებს! — ასე
 ხშირად, მარტო წაბაძვით იწუებს ბალებ-
 ში სიარულს ჩვენებური ვაჭარი, მარტო
 იმ განზრახვით, რომ სხვებს უკან არ
 ჩამოვრჩეთ... მაგრამ რამდენისამე წლის
 შემდეგ ის ხედავს, რომ სუფთად ჩაცმა-
 საც შეუნიშნველად შეეჩვიას, თავაზიან
 და ზოლიტიკურ დაზარაკსაც და, ამას გარ-
 და, ბევრ საკვირველს, გონების განმა-
 ვითარებელს აზრებს და თქმებს გაეც-
 ნო, საზოგადოებაში ბასობის დროს...
 უსარგებლო არ უფიქვს შეთქი თვით

მაიმუნური წაბაძვაც. მართლაც, ქვეყანაზე
 უველათური ახირებულად ბრუნავს. ხალ-
 ხი და კაცობრიობა გონიერი ან გამტ-
 დილი ქმნილებს რადია, წინათვე აღნი-
 შნულ მიზნისკენ გადუხვევლად მიმავა-
 ლი... დედამიწაზე ის ბრმასავით დაეხე-
 ტება, ხელების ფათურით, სხანამ სადმე
 ღობეს, ან კლდეს, ან ღრეს ან წაბტუ-
 დება... შუბლს რომ მიახლის, ანა და
 ფესს რომ იღრძობს, მაშინ მიხვდება—
 ამ გზაზე სულა ან ვარკებულა, და
 მეორე, სხვა გზას ირჩევს, რომელზე-
 დაც მალე ახალი ხრამი ხვდება. იქაც
 რომ ხიფათი დაემართება, ბრუნდება და
 თავის ბედს რომელსაშე ახალს, შუათანა
 გზას მიანდობს... მერე მეოთხეს, მეხუ-
 თეს, და სხვ. ასე დახეტიალობს ქვეყა-
 ნაზე კაცობრიობა, ერთი შეტოთმიდგან
 მეორისკენ, და ვინ იცის, რადის ედირ-
 სება მას იმნაირ გზაზე დადგომა, რა-

მეღზედაც უხიფათოდ ან დაუბრკოლებლად წაგოგიალდება მისი საქმე... ამ ბედნიერებისგან ჯერ-ჯერობით კი მეტის მეტად შორსა ვართ. ჩვენ დროს, თრმობი, სამოცი წლის განმავლობაში ადგია ხალხი ბრმა-წაბადვის გზაზე, ცდილობს გადაკეთდეს, გადასხვაფერდეს უცხოეთის კალაპოტზე. შუბლს რომ გაიხეთქს ამისთანა ცდაში და მიხვდება, ამდენიხანი უხეირო მიზნისთვის შემიღევიანო, ის მობრუნდება და მეორე გზას ადგება: ცდილობს მაშინ საკუთარი წინაპრების წარსული დრო მობრუნოს, მათი მივიწეებული ჩვეულებანი გაიხსენოს, მათს ძველ ცხოვრებას და წესებს დაუბრუნდეს... ამ ცდაშიაც გაიფლის ხოლმე ნახევარი საუკუნე, ხან მეტი, ხან ცოტად ნაკლები... რასაკვირველია, არც ეს გზა აბედნიერებს ხალხს... მაშინ რაიმე ახალი მიზანი გამოუჩნდება, რომლის დეენაში კიდევ ერთი იმდენი ხანი ილევა.

მაგრამ თვით ეს მიღებ-მოდება და
 ხეტიალი დიდათ სსსარგებლათ ხალხის
 გონების განვითარებისათვის. ხალხიც
 სწორედ ისე იზრდება, როგორც ბავში.
 მართალია, როცა ის აკვანში ჩაწვენილია,
 როცა მას ხელ-ფეხი შეკრული აქვს და
 თვალები ახვეული, ის ვერც შუბლს მი-
 ახლის კედელს, ვერც ფეხს მოიტეხს
 ღრეში. მაგრამ რომ წამოიზრდება, კარგი
 მოძულელი სჭირია, და რაკინდ დახე-
 ლოვნებული ან გულ-მტკივნეული იულის
 ძიძა, ხომ ვეღარ მოერევა წვერ-ულვანში-
 ან გაზდილს, აკვანში ხომ ვერ ჩაწვენს,
 ხომ ვერ მოუვლის? როცა ბავში ჯერ
 ფართხვას იწეებს, მერე სიარულს, განა
 შესაძლათ მისი ფეხის ადგმა და გაზრდა
 ისე, თუ ბევრჯერ ხან კედელს არ მიეხლას,
 ხან იატაკზე არ დაეცა, ხან კიბეზე არ გადა-
 ვარდა? თვით ეს სიფათები ბავშვს აჭკვიან-
 ნებს, გონებას უვითარებს და სწორე გზას

უჩვენებს... თითოეული შეტდამა, იქნება, ათასი სხვა შეტდამებისაგან იხსნიდეს მას შემდეგისთვის... ხალხის ზრდაც აგრევე წარმოებს, დასაწყისში, როგორც ბავშვის ზრდა. კაცმა რომ ეს ზრდა გაკვირით ასწეროს, აი რას დაგინახავთ: დასაწყისში თითოეული ხალხი უძლეური და უსუსურია. მალე მას ძიძა, ან მომვლელი უჩნდება, რომელიც აკვანში აწვევს და ხელ-ფეხს მაგარი არტაშნებით უკრავს... მთელი საუკუნოებით რჩება ხალხი ამ უბედურ მდგომარეობაში. მერე კბილები ამოდის, ღონე ეძლევა, გონება მოეწიფება. მაშინ ის ჯერ ფორთხვას იწეებს, მერე ხეტიალს, და ბოლოს აღამიანურ სიარულსაც. თავდაზირველად, როგორც კი გონებაზე მოდის, მას მარტო მიბაძვა შეუძლია: რა საქმის კეთებასაც სხვას შეამჩნევს მის გადაღებას მოინდომებს... ბოლოს, როცა დიდძალ გამომცდილებას ან ჭკუას

შეიძენს, როცა დაფაჟკატდება, ცხოვრებას გაეხვევა, გაგონიერდება, ის თავის საკუთარ ჭკუას მიენდობა, მის ხელმძღვანელობით მოქმედებას იწყებს, და ისე ცხოვრობს, რომ სხვისი გამოცდილებაც გამოიყენოს და თავისი საკუთარიც; კარგი თავისიც დაიცვას და სხვებისაც განაცხადებინოს; ავს სხვებისასაც ასტილდეს და თავისასაც.

თუ კაცმა ამ სტადიების სისტემებრივ გამოსახვა და დაწყოება მოინდომა, ვნახავთ, რომ ეფუძლი ხალხის ცხოვრებაში შემდეგი განვითარების ოთხი პერიოდი მოიძებნება.

პირველ პერიოდს ის დრო შეადგენს, როცა ხალხი თავის საკუთარი გონებით ან ტვინით არ ცხოვრობს, როცა მის მაგიერ სხვა ვინმე ზრუნავს და მოქმედობს, და როცა ხალხი მცენარეობს, საზოგადოებრივ ინტერესებს არ გრძობს,

ერთი სიტყვით ის დრო, რომელსაც ერმობის პერიოდი ჰქვია.

მეორე პერიოდი, რომელსაც მიმბაძველობითს ეძახიან, იმ დროს წარმოადგენს, როცა ხალხი უცხოეთის დაწინაურებას ხედავს და მის მხურ მიბაძვას იწყებს, თავის უძლურებას ან სისუსტეს იზიზღებს და ცდილობს გადასხვაფერდეს გარეგნულ წაბაძვით.

მესამე პერიოდს, ძველერობის აღმადგენელს, ის დრო შეადგენს, როცა ხალხი რწმუნდება, რომ მაიმუნური მიბაძვა დიდ ხეირს არას მძლევესო, და საკუთარი წინაპრების წესების აღდგენას მაინდამებს, მათს უურ-მოჭრილ მონად ხდება. ზოგიერთი ისტორიკოსები მერე პერიოდს პრეგრესიულ-მიმბაძვას არქმევენ, და მესამე-რეგრესიულ-მიმბაძვას.

მეოთხე პერიოდი კი მასშინ იწეებს, რაცა ხალხი ამ მესამე პერიოდის უნაყოფოებასაც იგრძნობს. მასშინ ის გამოჩნდება იწეებს, თუ მისი საკუთარი ბუნება რას მოითხოვს, მისი ძალა რის ნებას აძლევს, სხვა ხალხის ძლიერება რამ შეადგინა, სხვებს რა აქვთ კარგი, ისეთი, რომლის შეთვარებაც მის ბუნებას შეუძლია, და თვითონ მას რა ჰქონია ცუდი, ისეთი, რომლის თავიდან მოშორებაც შესაძლებელია. ამ პერიოდს ჩვენში საკუთარი სახლი არ აქვს, ამიტომ რომ ჩვენ ეს დრო არ გვღიარებია. რუსულად კი ამას ჰქვია *Периодъ само-бытнаго творчества* და ჩვენებურად, თუ გნებავსთ, ასე იყოს: თავისებური შემოქმედების პერიოდი.

II

მიბადვის ზერიადი ერთად გრძელი იყო ჩვენში. ბუნებას ჩვენი ქვეყანა იმისთანა ადგილს მოუთავსებია, საცა ათასნაირი ხალხი იყრიდა თავს, თითქო ისეთს მოედანზე, რომელზედაც ერთბაშად ოცი თუ ოცდაათი ქუჩა გამოდის... ჩვენს სამშობლოს ვერ ერთი ხალხი მოადგებოდა კარზე, მერე მეორე, მერე მესამე და სხვ. თითქმის უველანი კი ჩვენზე გაძლიერებული ყოფილან. ერთის გაცნობას ვერ მოვასწრებდით, მისი დაწინაურება გაგვეგო, მისი ხეირიანი ჩვეულებანი შეგვეთვისებია, აკი მეორე მოგვადგებოდა, ზირველზე უფრო ძლიერი ან დაწინაურებული. ვიწყებდით, მაშინ, ამ ხალხის გაცნობას ან შეთვისებას... ერთიც ვნახეთ, მესამე მობრძანდებოდა, ორივეზე უმჯობესი, მერე, მეოთხე და

მენუთუ. რა უნდა გვექნა ამ მდგომარე-
 აობაში, რა გვეშეულებოდა? უბრალო
 სტუმრად რომ მობრძანებულყოფა ვუკლას
 ეს ხალხი, კიდევ რასმე მაინც მოუხერ-
 ხებდით. შეგვეძლებოდა მათი კარგი და
 ავი, გონიერად გაგვეცნო მათი სიკეთით
 გვესარგებლა, ან მათს ცუდს ავშორე-
 ბოდით. მაგრამ ისინი სტუმრად კი
 არა, გაშლექვ-გამაფხრებლად მოდიოდნენ
 ჩვენსა. თითოეული ეს წვეულებას ჩვენი
 ხალხისთვის აკლებს იყო. თითოეული
 მათგანი ჯერ თავ-ზიარს დაგვამტვრევდა,
 მერე ბატონად გვიჯდებოდა სახლში,
 მშიერად და ლატაკად გვტოვებდა... ვის
 ექნებოდა დრო გონიერად დაკვირვებოდა
 მათს კარგსა და ავს? განუძარტებლად,
 უბრალო შეჩვევის ძალით, გვრჩე-
 ბოდა თითოეულ ამ ხალხისგან უმთავ-
 რესი მისი ზნე, სწორედ ისე, როგორც
 დიდ ჯარში, ან ვაება ხალხის გროვასში

გარეულ კაცს ყოველი მისი შემხედამის
 ჩირქი ან ტალახი ედება, და კარგი რამ
 კი ძვირად ხვდება...

ამ სახით მონგოლებსაც კი ვბაძვ-
 დით დიდხანს ძალა-უნებურად, სპარსე-
 ლებსაც, თათრებსაც და ლეკებსაც. ზოგ-
 მა ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა შარვალი,
 ზოგმა სიზანტე, ზოგმა ორზირობა...
 ხეირიანი და მაგარი ბუნება რამ არ
 გვექნოდა, ჩვენ სისხლში რამ ის და-
 უნდობელი და დაუშრეტელი ძალა არ
 მდგარიყო, რამეაღიც ზოგიერთს რჩე-
 ულ ხალხს უგვდავებს აძლეოს, დიდი ხა-
 ნია რაც დედამიწის პირიდგან ქართვე-
 ლებისა და საქართველს ხსენებაც კი
 გაქრებოდა. ყველასგან იმდენი ჩირქი
 გვრგებია, ყველას ჩვენთვის იმდენი ტა-
 ლახი და მტვერი მოუცხია, რამ, სხვა,
 უფრო სუსტი ხალხი, კიდევ დაიმარხე-
 ბოდა აქამდე ამ სისქე ტალახს ქვეშ...

ვინ, რამეული ბრძენი, ისტორიკოსი ან
 ეტიმოლოგი გვეტყვის დღეს, რაგორი
 იყო ნამდვილი და ზიდველ-დროინდელი
 ქართველების ბუნება, ზნე, ხასიათი, თვი-
 სება? რა შეგვრჩა ჩვენი საკუთარი, ან
 რა გამგვეყვას და მოგვედო სხვისი? ჩვე-
 ნი რა გვაქვს დღეს და სხვისი რა, ან
 რამდის რა? ვინ იცის ეს! მართალია,
 ბევრს ანც საჭიროდ უნდა მიაჩნდეს ამ
 ნაირი გამგვეყვას, მაგრამ დღეს ამ უბე-
 დურ მიმბაძველობის პერიოდი რამ, ღუთის
 მადლით, ჩვენთვის გათავდა, და ვიწებთ
 შემდგომს ისტორიულ პერიოდს, პერი-
 დს ჩვენის თვისტომობისკენ დაბრუნე-
 ბისას, მეტის მეტად საჭიროც არის და
 გამოსადეგიც ვიცოდეთ—ჩვენი თვის-
 ტომობა ნამდვილად რაში მდგომარეობს
 ან რამეულ თვისტომობას უნდა დაუბრუნ-
 დეთ, დაუახლოვდეთ? რამეულს დროსა
 ან რამეულს ზნეს უნდა დაუბრუნდეთ:

რაღა ქართველთას სზარსეთის დალი ეკ-
 რა, თუ რაღა თათრების გავლენის ქვეშ
 ყოფილა ჩვენი ქვეყანა, რაღა თათრების
 ჭკუით ვცხადობდით და ვიკვებებდით,
 თუ რაღა საბერძნეთი გვზატრინობდა,
 რაღა ვიზანტიის სწავლით გაბრწყინვე-
 ბულ იქნა მოკლე ვაღით ჩვენი ბნელი
 ცხოვრება? რა ზნე და წესი უნდა გვი-
 უვარდეს, რა წეობილებისკენ უნდა მივე-
 სრწავებოდეთ, რაში უნდა ვხედავდეთ ჩვენს
 იდეალს, რას უნდა ვსთვლიდეთ კარგად
 და ავად? ხომ შეუძლებელია ეველა ამ
 კითხვის განმარტება და კარჩევა, სანამ
 არ დააჩნდება ჩვენში ხეირიანი ისტო-
 რიული შკოლა, სანამ ისეთი ხეირიანი
 ისტორიკოსები არ გაგვიჩნდებიან, რა-
 მელთაღ ჩვენის ხალხის ძველი ცხოვრე-
 ბა გამოიკვლიონ და ის სიბნელე თვა-
 ლიდან მოგვაშორონ, რომელიც ჩვენს წარ-
 სულს გვიმაღავს?

სანამ ამნაირი ისტორიკოსები ან გვე-
ლიჩსებიან, სანამ მათის შემწეობით ჩი-
ნებულად ან გაიგებს ჩვენი ხალხი თავის
წარსულ ცხოვრებას, მანამდე იმ ხალხ
პერიოდში, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა ამ
ხანებში შესულა, ერთობ დაბნეულად,
უთავბოლოდ და უმნიშვნელოდ წარჩნდება
ჩვენი ხალხის გონებითი წინ-წასწავა. დღეს
რომ ჩვენ ამისთანა ისტორიკოსები გვეყა-
ნდეს, დღესვე ზედმიწევნით რომ ვი-
ცნობდეთ ჩვენს წარსულს, ეს ისტორი-
ული პერიოდი იქნება მარტო თუთხმე-
ტიოდვე წელიწადს გაგრძელდეს ჩვენში,
მეტს კი არა. მაშინ, რაკი ასე ძალე მო-
ვიხდით ამ სახადს, ადვილად შეგვეძლე-
ბოდა ისტორიულ ცხოვრებაში შემდგომი
ნაბიჯი გადაგვედგა და ჩვენი საკუთარი
მუხლების ძალა გვეშინჯა... დღეს კი
უთავბოლოდ უნდა ვიბოდიხართ, და ვინ
გვეტყვის --- რამდენს ხანს, რამდენს წე-

ლიწადს, ან იქნება საუკუნესაც, გასწევს ეს „ღრმობითი“ ზერიოდი ჩვენის ხალხის ისტორიული განვითარებისა?..

უფრო გარკვევით გამფხვანტყვამ ჩემს აზრს, და ამ მიზნით ერთ მაგალითს მოვიყვან რუსეთის ისტორიული ზრდისაგან.

ზეტრე ჰირველისა და ეკატერინე მეორის მეოხებით დაწეებული და გაძლიერებული ზერიოდი მიბაძვისა (მეორე ზერიოდი) რუსეთში ეხლანდელ საუკუნემდე განიგრძო. ალექსანდრე ჰირველის უკანასკნელ წელიწადებში რუსეთში ჰირველჯერ მოისმა შემდგომი ზერიოდის წინამორბედი ხმები. შიშკოვმა და აქსაკოვებმა ქადაგება დაიწვეს, რომ მიმბაძობა სასიარტხოა, განა ჩვენ ხალხი არა ფართა, განა ჩვენ წარსული არ გუქონია? ჩვენ ძველებს დაუყანდოვდეთ, მათგან ვისწავლოთ ჭკუა-გონებოა, მათ წესებს და-

ვუბრუნდეთ. ატუდა უშუალოდ ბრძო-
 ლა ამ პირებსა და ევროპულ განათლე-
 ბის ან წესების შემომღებლებს შუა. რ
 ბანაკად გაიყო რუსული მწერლობა და
 სწავლადებრივი ცხოვრება: ერთი (за-
 падники) ევროპის წესებსა და თავი-
 სუფლების შემოღებას ცდილობდა, მეო-
 რე კი (славянофилы) მამა-მამული
 ცხოვრების დაბრუნებას. პეტრე პირველ-
 მა რუსეთი დაღუპა, ამბობდნ და სწერ-
 დენ ეს უკანასკნელები: სჭირდა ის წე-
 სი ადვანსინით, რომელიც პეტრემ ევ-
 როპის მიხედვით დაარღვია. დაიწყო
 ამ ძველი წესებისა და ცხოვრების შეს-
 წავლა: მაშინ ხომ არავის გაგებად არ
 ჰქონია ძველი ისტორიისა, სწორეთ ისე,
 როგორც ჩვენში არავის აქვს ეხლა ჩვენ
 წარსულის ცნობა. გამჩინდნ ნიჭიერი და
 მშრომელი ისტორიკოსები რსავე ბანაკში.
 სწავლი ძველ დროში მართლ მისაწონ მხა-

რეებს ეძებდა, ზოგი მარტო სიძრავს და სისაცვილს. მათი შრომა მიდგომითი შრომა იყო, მართალია: მიდგომით და მრუდეთ ხატვიდენ ისინი წარსულს; მაგრამ მათი გამგეგმევით წახალისებული ხალხი მარტო იმათ კი არ შეახერხდა. მათ შემდეგ ახალი, უფრო მიუდგომელი და სინდისიანი ისტორიკოსები გამოჩნდნენ, რომელთაც პირველებმა შრომა გაუადვილეს და გზა აჩვენეს. ამ ახალმა მწერლებმა კარგიცა და ავიც ერთნაირად გამოიკვლიეს, არც ცუდი რამ დამალეს, არც კარგი, და ხელ-ხელა გაიფანტა ის სიბნელი, რომელიც რუსეთის წარსულ ცხოვრებას ფარავდა... ამას გარდა, იმავე მოძრაობის შედეგით, რუსები მიხვდნენ, რომ მათს ცხოვრებაშიაც უფილია ზოგიერთი იმისთანა მხარეები, რომელიც ევროპის განათლების მომხრესაც კი მოეწონება ან აღტაცებაში მოეყვანს.

გამიხსნდა, მაგალითად, რომ ჩინებული
 რომ უფიქროს რუსეთის ძველი ჩვეულებას
 შრომის განაწილებისა (артели) და მი-
 წის მფლობელობისა (община), თითქმის
 ისეთი უფიქროს, როგორც იდეალად უჩ-
 ვენებენ ევროპის რეფორმატორები. გა-
 მიხსნდა აგრეთვე, რომ რუსის ხალხს
 მშვენიერი საკუთარი მუსიკა ჰქონია, ისე-
 თი, რომ იტალიის მუსიკას უკან არ
 ჩამოუვარდება. გამიხსნდა კიდევ რუსული
 სტილი შენობაში ან მოწოდებლობაში,
 რუსული გემოვნება, რუსული სახალხო
 ზეობის (ეზისი, ღირიკა და სხვ.) გა-
 მიხსნდა ბოლოს, რომ თვით გონების
 ცხოვრებაშიაც---რომელიც ყველას ერთი-
 ანად დახმული ეგონა,---რუსეთის ხალხს
 თავისი თვისტომური მხარე ჰქონია, გან-
 საკუთრებით სარწმუნოების კითხვებში.
 ზოგიერთი მისი სექტები, ერეტიკოსო-
 ბის მიმდევრობა, მეტის მეტად თვის-

ფერფანი გამფიდა... და რცა სინი-
დისიანმა ისტორიკოსებმა ან ეტნოგრა-
ფებმა კარგად გუფმოდგინედ გამფიბნეს
უგელაფერი, რცა თვისფერფანი ან დასა-
ფასებელი ფოფილა რუსეთის წარსულში
და მისი ხალხის ზნეში, მაშინ სრულებით
გაადფილა რუსებისთვის საკუთარ მუხ-
ლებზე სიარული, სხვისი და თავისი ხე-
ირიანი წესების დაფასება ან დაფუძნება...
მაშინ რუსეთისთვის მფისზე მეორე და
მესამე ჰერიადი, მისი ისტორიული გან-
ფითარებისა და კარდაიშალა მეფთხე ჰე-
რიადი...

ეს მაგალითი იმისთვის კი არ მფმი-
უვანია, რამ რუსეთი ფაქრ ან ვადაგო-
ბავშობა იქნებოდა ამისთანა სურფილი.
მინდოდა კარკეფვით მეჩვენების უგელასა-
თვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის
ცხოფრებაში იმ ჰერიადს, რამელიც
დღეს ჩვენს ქვეყანაში იწეება...

კერძო ზირი ხშირად ვერც კი ხედავს, თუ თავითან მას რა ისტორიული ძალა ამოქმედებს, რა ბუნების ძალას მიჭყავს ის ხან წინ, ხან უკან. ვისაც ზედმიწევნით არ შეუსწავლია „ისტორიის ფილოსოფია“, მას ეფუფეთვის ჭკონია, რამ რასაც მე დღეს ვშვრები, იმას ჩემი საკუთარი ჭკუით ვშვრები, ჩემი გონებით ვმოქმედობ, და სხვებს ვამოქმედობ. დიდი შეცდომას ეს, დიდი სიბრეყვას. კერძო ზირი ცხადვრებაში უბრალოდ ზიკია, რამეჯსაც ისტორიული ძალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რამ ისტუნეს ამ ზიკმა, ათასიც რამ თავის ნებით გაიწიოს, ქვეყნის ჩარხის ბრუნვა მას მანც უზღვის თავის ადგილს და თავის ნებაზე დაატრიალებს. მართალია, კაცის განიერებასაც ბევრი შეუძლია ამ საქმეში, მაგრამ ეს ბევრის შეძლება მარტო იმაში მდგომარეობს,

რომ ზოგი ზიკი გაიგებს, რა ძალა ათამაშებს იმას, და ამ ძალით ისარგებლებს, ამ ძალას დაეხმარება; ზოგი კი ამას ვერ მიხვდება და ბრწყინვალად თავს გააღასხვინებს ან მთელ თავის ღონეს ამ ძალასთან შეუფერებელ ბრძოლაში დააღებს... ეს უნდა გვანსოვდეს კარგად, მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენში ზოგიერთს უმაწვილთაგანს ჰგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდება...

ამ საგანზე ლაზარაკი იმისთვის გავაბი, რომ მინდოდა შეთქვა, თუ რამ-სიდიდე მსგავსება სუთვეს ეხლანდელ ჩვენს მოძრაობასა და რუსეთში სლავიანოფილიზმის დაარსებას შუა. ადვილად შემიძლო ასეთივე მსგავსება რომლისაჲ სხვა ხალხის ისტორიიდან ამოღო. შემიძლო, მაგალითად, მომეყვანა ის ბრძოლა, რომელიც საფრანგეთში იყო გამართული

ცრუ კლასიკებსა და რომანტიკებს შუა, ან გერმანიის ცხოვრებიდან— ლესინგის დროს დაბოლოებული იმი საფრანგეთის წამბაძვებს და ძველი გერმანიის მემხრეებს შუა... ორივე ეს ბრძოლა სწორეთ იმავე ხასიათის იყო, როგორც რუსეთში ატუდა და ჩვენშიაც იწეება... მაგრამ რუსეთის მაგალითი მისთვის მომყავს, რომ ეს მაგალითი უფრო ნაცნობი და ადვილად გამოსაკვლევია ჩვენი უმაწვილეების უმეტესი ნაწილისთვის.

სლავიანოფობიის პირველი თვისება ის იყო, რომ თავიანთს უგულავურს იწონებდა ან თავიანთს-სტუმდა, და უცხოეთისს უგულავურს იძულებდა ან აძაგებდა. წაბილწულიაო უოველი კაცი, ვინც რუსულ ენას არ ხმარობსო და ვისაც უცხო ენაზე გინდ ერთი სიტუვაც წაცდებოა. როცა რუსულ ლაზარაკში ვინმე იმისთანა სიტუვას იხმარდა, რომელიც რუსულში

სულ არ იყო, სლავიანოფილები კიუინს იწუებდნენ: „რათ ხმარობთ სიტუვას ზარლამენტს, ეს ხომ რუსული სიტუვა არ არის!“ — რამ გვჭირდება მისი ხმარება, და მის მსგავსს სიტუვას რუსულ ლექსიკონში ვერ ვხედავთ, უზარსულებდენ მოწინააღმდეგენი. — „სიტუვასიტუვით გადათარგმნეთ, მოიგონეთ, მაგალითად სიტუვა „ГОВОРИЛЬНЯ“ (სალაყობა) და ის იხმარეთ. — რა ვქნათ, მიუგებდენ მასშინ მხასუსენი, ჩვენ ენაზე უფრო მდიდარი და შემუშავებული ენა აქვთ ნემტებს ან ფრანცუზებს, მაგრამ თუ კი ისინი არ უკადრისობენ ინგლისური სიტუვის „ზარლამენტის“ ხმარებას, ჩვენ რათ უნდა ვიუკადრისოთ?

შენიშნეთ, რამ ამ საკანში სლავიანოფილები, ჩვენი ჰატრიოტების არ იყოს, იმას კი არ ქადაგობდენ — მწერლობა ხალხის ენას უფრო უნდა უკვებდეს, ხალხის

მდიდარი ლექსიკონით უნდა ხელმძღვანელობდეს, სამწერლო ენა ხალხის ლაზარაკს უნდა უხალფოდებდეს. ეს რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება გამართქმონდა მათი ზიზით. არა, ისინი იმას ქადაგობდენ—სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენი ზატრიოტები ამბობენ, რომ მწერლობაში სიტყვებიც და სიტყვის წყობილობაც უნდა აიღოს ძველის მწიგნობრულის, დაუწვებულისა და მკვდარის ენისაგან. შენიშნეთ, რომ რუსული ენის გამამშვენებლად და გამამდიდრებლად სლავიანოფილები კი არ გამოდგენ, არა. ევროპის განათლების მამხრე მწერლებმა: ჰუშკინმა, ლერმონტოვმა, გოგოლმა, დერტენმა და სხვ. გამდიდრეს ეს ენა მით, რომ ხალხის ლაზარაკს დაუხალფოეს მწერლობის კილო, რომ ხალხის ენისგან მწერლობაში ათასობით შეძოტანეს ახალი სიტყვები და სიტყვის-

წუბოილობა... შენიშნეთ, კიდევ, რომ არც შიშკოვის, არც ხომიაკოვის, არც კირეევსკის, არც ან. გრიგორიუვის ენა რუსის ხალხს არ ესმოდა, სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენს ხალხს „იუგოსლავის“ მწერლების ენის გაგება უჭირს...

სლავიანოფილობის მეორე თვისება ის იყო, რომ უცხოეთის ცხოვრებას, ძალას, მოძრაობას და განზრახვას უურს სრულიად არ უგებდნენ. ჩვენს დროში ვერც ერთი ხალხი, რაგინდ ძლიერი, ან დიდი იყო, თავისთავად ვერ იცხოვრებს ისე, რომ სხვა ხალხთან დამოკიდებულება ან განწუბოილება არ ჰქონდეს. თუნდ მართლაც შეეძლოს ამ ხალხს თავის თავად განკერძოებული ცხოვრება, იმას ხომ მაინც ვერ იტყვის, ჩემს დღეში არც ერთ სხვა ხალხთან შეტაკება არ მომიხდება? რუსეთზე ათასჯერ უფრო ძლიერი იყო სავოჩანკეთი; მას მარტო თავისი ღარი-

თა და ძალით ცხადდება შექმნა, არც
 სხვისი დახმარება სჭირდება, არც სხვა
 ქვეყნების მწვერლობისგან ან ტექნიკურ
 მეცნიერებისგან ჰქონდა რამ მისაღები,
 არც სხვისი ჭკუა და გამომცთილება ენ-
 დობებოდა, არც თუელი ჰქონდა სასესე-
 ბელი, არც აჩაფრის ყიდვა იყო მისთვის
 საჭირო უცხოეთში, მაგრამ ხომ ყველამ
 იცის, ახლაც რა საშინელი ზიანი მისცა
 მას უცხოეთის დაუკვირებლობამ, უცხო-
 თის ენის, ძალის თუ მიმართულების
 შეუსწავლობამ... თუ ამისთანა ზიანი
 საფრანგეთს დაემართა, რუსებს აბა რა-
 გერ გამაადგებოდა უცხოეთის მივიწვე-
 ბა, რაცა მისი გონებითი, ეკონომიური
 და ტექნიკური ცხადების უმთავრესი
 საჭირო მისაღები რუსეთმა უცხოეთს უნ-
 და მოთხოვას? სლავიანობილებს ეს არ
 ესმდებათ. მათ ეგონათ, რომ ჩვენს დრო-
 შიაც შესაძლებელი იქნება ისე „მოწვევ-

ტილად“, ისე განუვითარებლად იტხოვროს რუსეთმა, ისე უური და თვალი არ ათხოვოს უცხოეთს, როგორც იაანნი მრისხანეს დროს იყო. ამისგან სლავიანოფილები არც უცხოეთის მწერლებს ადევნებდენ თვალს, არც უცხოეთის გონებითს მოძრაობას, არც მის მიმართულებას და სურვილს. მაგრამ მათი უმთავრესი განზრახვის—სლავიანების კათავისუფლების თუ შეერთების ასრულება ისე ხომ ვერ მოხდებოდა, რომ უცხოეთს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიეღო, ესე იგი არ ეწინააღმდეგებია? მაშასადამე, სლავიანოფილებს მარტო რუსეთში კი არ უნდა ემოქმედათ, მარტო რუსეთის ხალხის კავშირებისათვის კი არ უნდა ეშრომათ, უცხოეთლების შეკანებაც, შეხერებაც და შეკავებაც უნდა დაეწყოთ. უცხოეთლების გულში სლავიანების შესახებ კაცობრივი გრძნობა უნდა გაკავშირებიათ, უნდა უც-

ხეთი აელელებით იმ სურათის გამ-
 სხვით, როგორც სლავიანების გაჭი-
 რვეული მდგომარეობა წარმოადგენდა.
 მათ უნდა აესხნათ უცხოეთისთვის, რომ
 სლავიანებიც ღვთის გახენილი ადამიანები
 არიან, რომ გონება მათაც ჰქონათ,
 რომ სლავიანების ჰყოფიას, მწერლობა,
 მუსიკა, ჩვეულებანი და სხვა ამ გვარი
 თვისებანი უფუელი განათლებული კაცის-
 გან ჰატვისტემს მითხრენ იმ ხალხის-
 თვის, რომელსაც ამდენი გაჭირება გა-
 მოუვლია, ამდენი უშრომია და დღეს კი
 საცოდავო მონობა ღუზავს. რაკი ამისთანა
 ქადაგებით სლავიანებს ბლამად გაუხნდე-
 ბოდენ მომხრენი თუ თანამგრობონი უც-
 ხეთლებს შორის, სლავიანოფილებს
 თვითონ ეს სლავიანები უნდა გაეძლიე-
 რებოთ იმ ცოდნისა და აზრების გად-
 მოცებით, რომელნიც დღეს მარტო უც-
 ხეთში იხრებიან, და რომელნიც ხალხს

ადვილებენ, აძლიერებენ, გაბედვას და გამრჯვებას აძლევენ... მაგრამ სლავიანოფილურს მთელი ეს ნაწილი შრომისა სრულიად მივიწვებული და უგუგდეული ჰქონდათ.

იმის მაგიერ, რომ ეს მათი საქმისთვის საჭირო მოვალეობა შეესრულებიათ, ისინი—სწორეთ ჩვენებურ ზატრიოტებსავე—მოლაღატედ სთვლიდენ იმ მწერლების, ვინც ამ გზას ადგას... მოლაღატედ სთვლიდენ და შეურაცხ-ყოფდენ ბრიფუელად, ამიტომ რომ ბოლქს გაიგეს, შემტდარი ვიუაფითო, და ბოლქს თვითონვე დაიწეს უცხოეთში წერა და მოქმედება, დაიწეს უცხოეთის ენებზე ბრძოლების ან გაზეთების გამტემა, უცხოეთში ქადაგება... ზოგიერთ ჩვენს ზატრიოტებსაც კი დაემართათ ამისთანა სირცხვილი...

სლავიანოფილების მესამე თვისება ის იყო, რომ გარეგან შეხედულებას, გარე-

გან საქციელს და სიტყვას ისინი უფ-
 ვლთვის მეტს მნიშვნელობას აძლევენ,
 ვინემ თვითან საქმეს ან მის არსებითს
 მხარეებს. ისინი ცდილობდნენ, რომ რუს-
 გლებივით ჩაეტვათ ტანისამოსი, თმა
 ირგვლივ შამოკერიჭათ, წვერი მოეშვათ,
 ფოტკა ესვათ... მათ ეგონათ ხალხთან
 დაახლოებას, ხალხის ამაღლებას ამასში
 მდგომარეობსო. ხავერდის შარვალს ჩა-
 იცვამდნენ, აბრეშუმის წითელ ზერანგს,
 მოფუთილულ ქამარს შემოირტყამდნენ,
 თავზე ქუჩრულ ქუდს იხურავდნენ და ისე
 მიბრძანდებოდნენ თავიანთ სოფელში, რომ-
 ლის უველას გლეხები მათი უმა და მონა
 იყვნ. ხალხისთვის მათი ენა გაუგებარი
 იყო, მათი ტანსაცმელები უცნობი და,
 რასაკვირველია, მათი სიტყვა უნდო,
 ამიტომ რომ საქმით უშველებელი წინა-
 ადმდეგობა და მტრობა იყო ამ „განათ-
 ლებულ და კეთილის მოსურნე მებატო-

ნეებსა“ და მათ გლეხებს შუა. — „ჩვენი ბატონია, ჩვენი გამტყავებელი ბატონი, მამსასდამე, ჩვენი მტერი უნდა იყოს, მამსასდამე, უფული მისი სიტყვა მტრული უნდა იყოს“. აი რას ფიქრობდა გლეხკაცობა ამ ვაჟბატონების ლაპარაკის დროს...

ავიწყდებოდათ სლანუანოფილებს, რომ მარტო ცარიელი სიტყვით კი არ მოიგება ხალხის გული, რომ მარტო „ერთმანერთი გვიუფარდეს“, „ერთობა ვიქონიოთ“, საკმაო რაღაცა, ნამდვილი ერთობის დასაარსებლად... ამის გამო ისინი სრულიათაც არ იკვლევენ მეტნიერულად იმ კითხვას, თუ რუსეთის ხალხში რას მოუხდენია ერთობის დარღვევა, რა ძალა უშლის ერთობის დაარსებას, რა ჭეშოვს ცალ-ცალკე, რა აშორებს ხალხის სხვადასხვა წოდებას... იმის მაგიერ, რომ ეს კითხვა გამოეკვლიათ, გაცალცალკეე-

ბის ნამდვილი მიზეზი მოექცენათ და ეს მიზეზი მკესხეთ, ისინი ცარიელ ქადაგებს იმეორებდენ: „ერთმანეთი გვიუვარდესო, ერთობა ვიქონიერთო!“ და ამ ერთობის მოსახვედრად მათ საკმაო ეკონათ ერთნაირი ტანსაცმელის ხმარება, ერთფეროვანი სიტყვების წამოერთვა...

შეათხე თვისება სლავიანოთილუებისა იმაში მდგომარეობდა, რომ უოველდე რამელსამე უცხო ნაციონალობას დეგნიდენ. დღეს ნემტებს ჩაეჯიბრებოდენ და ღრიალს იწეებდენ: შეგვჭამეს ნემტებმა, რაც ადგილია, მათ დაიკავესო, რაც დუქნებია, მათ ხელში არისო, რაც ვაჭრობა ან ადებ-მიცემობა მთიანუება, მათიაო, ზურსაც ისინი გვიცხობენ, ხორცსაც ისინი გვიჭრიან, წადებსაც გვატმევენო, ტანსაცმელსაც გვიკერავენო და სხვ. ხვალ ფრანცუზებს აუტედებოდენ და ფრანგული ენის, საქონლის დეუნას თუ კიცხვას

იწებდენ; ზეგ იტალიურ ოპერას ჩაე-
 ქიშებოდენ, მასეგ დაწესებდენ—ინ-
 გლისურ სასმელებს ნურვინ სვამსო, ინ-
 გლისიდგან მაშინები ნურავის მოაქვსო
 და სხვ. და სხვ. აი სწორეთ ისე, რე-
 გორც ამას წინათ ერთმა ჩვენმა ჰატრი-
 ოტმა დაუბოლოებელი სტატია დაწერა,
 როგორ შეიძლება, თფილისში ვინმემ
 მოსკოვიდგან კალახების (ზურის) მცხ-
 ბელი დაიბაროს, განა ჩვენ ხაბაზი ცო-
 ტა გვეყვსო, განა ზურის ცხობა ჩვენ
 წინაპრებს არ სცოდნიათო და სხვ. საქმე,
 რასაკვირველია, სლავიანოფილების კიჟი-
 ნით არც კეთდებოდა, არც იცვლებოდა.
 სულ სხვა იქნებოდა, მათ რომ საქმით
 ეშუელათ ამ შენიშნულ ვნებისთვის, ან ხე-
 ირიანი რჩევა მიეტათ ხალხისთვის, თუ
 როგორ, რა გზით შეუძლია მას ნემცების
 ან ფრანცუზების უზირატესობისაკან თავის
 დახსნა. ესწავლებიათ, იმ დალოცვილებს—

ნემცებივით იმუყაითეთ, მათსავით ისწავ-
 ლეთ ხელაწინობა და შრომათ, ეს სირცხვი-
 ლი კი არა, ჩინებულ სიქმე იქნებათ, და
 სხვ. და სხვ. ან გაეხსნათ სამოსწავლო
 და სახელაწინო სასწავლებლები და სხვა
 ამგვარი დაწესებულებანი, მაშინ რუსთ-
 ბას ადვილად შეეძლებოდა იმ ადგილ-
 ბის ან მდგომარეობის დაზერობა, რომე-
 ლიც ნემცებსა თუ ფრანგურებს ჩაკლათ
 ხელში. ისიც მოიფიქრეთ, თუ რა გა-
 საკვირველი უნდა ეფიციენთ, რკინის
 გზის ან სპეციალური სამსახურის ადგი-
 ლები ნემცებს რომ კავებოდათ, რაკი
 სლავიანოფილები დიდიდგან საღამომდი
 იმას ქადაგობდენ, უცხოეთის მეცნიერებს
 ჩვენ გვაფნებსო, საჭირო არ არისო უც-
 ხოეთის გამოცდილება მიეღოთ, და, მა-
 შასადამე, არც უცხოეთის წესზე გამარ-
 თული სამსახურის ასრულებს შეეძლოთ?
 რასაკვირველია, მთელი ეს სამსახური და

მთელი ის სჯემეტ, რომელსაც უცხოეთის სწავლას ან გამტაცდილებას სჭირვდა, მარტო უცხოეთლების ხელში ჩაჩებოდა. ამის გამომ, მართლაც მთელ რუსეთს რომ დაეჯერებია სლავიანოფილების ქადაგება, მართლაც ეგვლას რუსებს რომ სლავიანოფილების ჭკუაზე ეარათ, ეგვლანი უმეტარნი დაჩებოდენ, და მთელი სახელმწიფოს უმჯობესი ადგილები, ეგვლას მისი რკინის გზები და ცრთქლის გემები, ეგვლას მისი ფაბრიკები და ქარხნები, მთელი მისი ადებ-მიცემა, ვაჭრობა, წარმოება და შეძლება სულ ერთიანად მარტო უცხოეთლების ხელში ჩავარდებოდა. მაშინ რუსები თავის საკუთარ ქვეყანაში სხვის სასარგებლოდ მუშავებდნენ და მართლაც ნემცების ან ფრანცუზების შინაყმად გახდებოდენ, ჰარიების მდგომარეობაში ჩავარდებოდენ... ეს ხომ უეჭველია, ამი-

ტომ რომ რუსული შკადა, რუსული
 შეცნობების, რუსული გამომცემლობა და
 სწავლა ვერც მაშინ აძლედა, ვერც ახლა
 აძლევს რუსეთის შვილებს სწავლებას—
 უცხოეთის გამომცემლობით დახელოვნე-
 ბულ უცხოეთებს შეედარონ და ბრძო-
 ლაში ადგილი არ დაუთმონ...

რომ ვინდომო ამგვარი შედარების
 გაკრძობა, ერთ თვეშიაც ვერ გავათა-
 ვებდი უკლა მსგავსების ჩამოთვლას,—
 იმ სიდიდე ანალოგია არსებობს სლავო-
 ნოფილებისა და ჩვენ ვიწრო ჰატრიო-
 ტებს შუა... მკანია კი, რომ გონიერი
 მკითხველის დასაჯილდოებლად და მისი
 თვალის ასახილველათ ეს ოთხი მსგავ-
 სებაც საკმაო უნდა იყოს ჯერჯერობით.
 თუ ვინმემ ამ აზრისა და შედარების და-
 რღვევა მოინდომა, თუ სადმე მისი უსა-
 ფუძვლობის შეწამება მოისმა—მზათა ვარ,
 უფრო დაწვრილებით დაუუბრუნდე ამ სს-

განს და უფრო საფუძვლიანად დავამტკიცო ეს ხელმეორედ...

III.

წელანაც ვახსენე სამჯერ თუ ოთხჯერ ჩვენი პატრიოტები. მართლაც, იმ მოძრაობამ, რომელიც ჩვენს ქვეყანას ელირსა ბოლშეს, ჩვენში ბლამათ დაბადა ის მავნებელი და საზიზღარი ტიპი, რომელსაც მწერლობის უმჯობესი და უპატიოსნესი ნაწილი უფუფუნო დევნის და რომელსაც ზოგან „შოვინისტებს“ ეძახიან, ზოგან „ვიწრო პატრიოტებს“, ზოგან „квасные“ და სხვ.--- ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენშიაც გამოჩნდა ამ ტიპის ხალხი, ჩვენშიაც ხმა და კავლენა მოიპოვა მათმა ვიწრო და თვალუბ-დანუჭულმა ტვინმა...

საკვირველი ესაა, რომ ამ ვიწრო ან
 ცრუ ჰატრიოტებს შუა ბევრი ისეთია,
 რომ ხმას როდი იღებდენ და ხალხს რო-
 დი ადვილებდენ იმ დროს, როცა მამუ-
 ლის სიუვარული საშიში რამ იყო, როცა
 მამულის ერთგულ კაცს საზოგადოების
 ტაშის კვრა კი არა, უფროსების რისხვა
 და ლახურა ელოდა...

ისიც არის საკვირველი, რომ მას
 აქით, რაც საზოგადოებამ აშკარად გამო-
 სთქვა თავისი მხურვალე თანაგრძობის
 მამულის ბედზე, ისეთი ზირებიც გაზა-
 ტრიოტდენ — გაცრუჰატრიოტდენ, —
 ვინც უწინ ჰატრიოტობას სისულელედ
 სთვლიდა, ვინც აშკარად კოსმობლი-
 ტობდა, ვინც მე, მაკალითად, სულე-
 ლად იმიტომ მთვლიდა, რომ ჰატრიო-
 ტია, მაშ რასაკვირველია სულელი იქნე-
 ბო! დასეთ ბედის ჩარხის ტრიალს!
 კბკკკ ზირები დღეს იმდენათ გაცრუჰა-

ტრიოტდენ, რომ ათათასჯერ გადამა-
 ჭარბეს ჰატრიოტობაში!.. ადვილათაც
 შესაძლებელი იყო ჩემი გადაჭარბება:
 კრივი ჩემი ქვეყნის ბედნიერებად არაოდეს
 არ მიმაჩნდა, უმეტრებას ჩემს დღეში
 არ ჩავთვლიდი ჩვენის ხალხის იდეალად,
 არასოდეს არ ვიფიქრებდი და არ ვი-
 ტუოდდი, ნეტავი იმ დროს მოვესწრო,
 რომ ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის
 დროინდელი წესები მიეღოს შეთქი...
 მაშასადამე, ახლაც უფრო ჩვენს ცრუმა-
 ტრიოტს, ამგვარი ხეზრული აზრების
 ცრუ-მომხრეს, ადვილად შეუძლია სთქვას
 ჩემზე, რომ მამული არ შევარება და
 მისი კეთილდღეობა არ მწამებია... მა-
 გრამ ეს უფროსივერი გაგვრით არის აქ
 თქმული. იქნება ეს ჩვენი „ცრუმატრიო-
 ტები“ მარტო ფარისევლობით არ იქ-
 ცუდდენ, იქნება სასწაულებრივი მათი
 უცუბი გაცრუმატრიოტება მარტო ანგა-

რძით არ იუჯნ მამხდარი, იქნება ზოგერთს მათგანში მანტ მამულის მსახურების გულწრფელი სურვილი მოქმედებდეს. ამის გამო თავი დავანებთ მათი საქციელის დაცინვას, მათს ზიზღვანს მხარეს, და მათი საქმე ისევე გულდამჟღარათ, გულგრილად, მეცნიერულად გავანჩინთ.

აქ სჭირდვალ ვსთვლი ხეირიანად განვმარტო ის ხეი სიტუვას, რომლითაც ამგვარ კაცებს ვხატავ. „ცრუხატრიტებს“ რომ ვანქმევი იმათ, ამ სიტუვით, იმას კი არ ვუთქრებ, ვითომც მამული მართლვ ფეხებსე ეკიდეთ, ან მარტო ფარისეულურად ეძახდენ თავის თავს ზატრიტათ. არა, მხლელად ის მაქვს მხედველობაში, რომ მათი მამულის სიუვარული შემტდარი და შემტდენელი სიუვარულია, რომ უსაფუძვლელ და უაზრთა, მათი მხსნრებს, მათი გრძნობის სს-

ფუძეველი, რომ ეს სიუჟარული ხანდახან
 მტრობასე უარესი გამოდის... მაგა-
 ლითს მფიფიან, ამიტომ რომ მაგალი-
 თით, ხშირად, საქმე უფრო ადვილად
 და მალე ახსნება, ვინემ ფილანთოფიუ-
 რი მხსარებით. მეტის-მეტათა და გულ-
 წრფელად უფარს დათვის თავისი ბედი,
 ეს ხომ უველამ იცის. მაგრამ ხშირად
 მხდება, რომ ეს დათვი, სიუჟარულით
 გატაცებული, ბელს ისე მაგრად იხუ-
 ტებს გულში, რომ სრულებით ახრბობს
 და ჰქლავს. ესეც ხომ უველას გაეგანება.
 ფარისეულბით კი არ შერება ამას და-
 თვი, განგებ კი არ უნდა იმას ბელის
 სიკვდილი, გრძობის უქლბობის გამე
 კი არ ჰქლავს იგი თავის შვილს, არა.
 ეს უბედურება მას იმიტომ ემართება,
 რომ უგნურია, არ ესმის, თუ რამდენად
 საჭიროა ჰყარი და მოძრაობა მისი ბე-
 ლისთვის, თუ რაგორ მომაკვდინებელია

მისთვის ნამეტანი ალერსი და მოფერება... ნამდვილი გულწრფელი გრძნობა აქვს ამ დათვის, მაგრამ მისი სიუვარული მაინც „ცრუსიუვარულია“, ამიტომ რომ მის ბელს ეს სიუვარული ჰქვავს, სწორედ იმავე ნაირად, — ან იქნება უფრო ადვილათაც — როგორც აშკარა და ნამდვილი მტრობა მოჰქვავდა. უფელთთვის, როცა რომელსამე გრძნობას, თავის გამომთენაში გრძნობის წინააღმდეგო შედეგო მოსდევს, როცა, მაგალითად, სიუვარულის გამომთენას მტრობის შედეგო მოაქვს, ამნაირად გამომთენილ გრძნობას ცრუ-გრძნობას უძახიან. მეც სწორედ ამის გამო ჩვენებურ ჰატრიოტობას „ცრუ-ჰატრიოტობის“ სახელს ვარქმევ... ამ ჩვენი ცრუჰატრიოტობის დედა-აზრი, ბურჯი, მოედანი და ბურთი იმაში მდგომარეობს, რომ „ჩვენი მამული გვიუვარსო!“

„ჩვენი მამული გვიყვარს“, — აი რით ამხარტავნობს დღეს ჩვენებური კაცია. ეს სწორედ იმას ჭკავს, ამხარტავნობა იმით რომ დავიწყო... წმინდა ჭკერი მიყვარს, ან ზური, ან წყალი მეთქი.

ვის არ უყვარს თავისი მამული? სად მოიძებნება იმისთანა ქმნილება, რომელსაც დაბადებიდანვე თანდაყოლილი არ ჭქონდეს ამისთანა გრძნობა? კაცს კი არა, ზირუტევისაც კი აძლევენ ბუნება იმ ადგილის სიყვარულს, საცა დაბადებულა, გაზდილა და გათამამებულა ეს ზირუტევი. აიყვანეთ ძაღლი, თუნდ ხურჯინში ჩასვით, თავი მოუკარით, თვალი აუხვიეთ და ისე მოაშორეთ მის სოფელს, გადაატარეთ ცხრა მთა, — ნახავთ, რომ რამდენსამე დღეს იქით ის თავის სოფელს მოძებნის, თუნდა ახალ ადგილს უმჯობესი სასმელ-საჭმელი და მოვლა დახვდეს. — მისთვის ეს სოფელი მამუ-

ღია. სხვაგან ის წუწუნობს, იტანჯება,
 და ხშირად კიდევ კვდება იმ ავანტიურ-
 ფობით, რომელსაც უკვლავ ხალხის ენაზე
 ჩინებული სახელი აქვს— „მამული
 სეკდა“. აიუვანეთ ცხენი, შეჯვებით
 ზედ, გადაატარეთ ისევე ცხრა მთა, კარ-
 გად ასვით და აჭამეთ ხალხ ადგილს,
 და გაუშვით თავისუფლად. ნახავთ, თუ
 ისევე თავის სოფელში არ დაბრუნდეს,
 თუ გზაზე არავინ მოიპარა, ან მკვლე-
 მა არ შეჭამა. ეს მაგალითი იშუათი და
 ძვირი საძინჯია, მაგრამ ის ხომ უკვლამ
 იტის, რომ როცა ცხენი თავის ჰატრო-
 ნის სახლს მიუახლოვდება— სინარულით
 ხვიზინს იწეებს და ფეხს აუჩქარებს,
 თუნდ კარგა ჯაზათიანად იყოს გამაძლ-
 რიც... თუ კი ჰირუტყვისთვის არ და-
 უკლია ბუნებას ამ გვარი გრძნობა, ხუ
 თუ კაცს მოაკვებდა? მართლაც, იმისთა-
 ნა კაცის შეხვედრა, რომელსაც მამულის

სიუვარული ან მოქებენებოდეს გულში, სწორეთ იმნაირადვე იშვიათია, რაგორც კუზიანის ან ცალ-თვალა კატის დაბადება. ბუნებამ მარტო ათასში ერთჯერ იცის ხალხმე ამ ნაირი ნაკლის გამჩენა...

რამელი კატია ისეთი, რამე მამული ან უფარდეს? ხშირად მოხდება ხალხმე, რამე კატს ამ სიუვარულის გაკება თვითონაც ანა აქვს, მაშასადამე, ადვილად შეიძლება, სხვებმა სრულიად ვერ შენიშნონ მას ეს გრძობა. მაგრამ აიუვანეთ ეს კატი და თავის მამულს მოაშორეთ, მაშინ ნახავთ, უვარებია მას მამული, თუ არა!! ან მეორე მაგალითს გიჩვენებ: სრულიად უსწავლელი კატი გამოიუვანეთ მიერეებული სოფლიდგან, ისეთი, რამე არც ჰატრიოტობა რაა გაეგონოს, არც მამულის-სიუვარული წიგნებში ამოკითხოს, და ამისთანა კატის წინ მისი სამობლად უგინოს ვინმე გარეშე ზირმა, ან

მისი ხალხის ძაგებს დაუწეოს, ნახავთ, მაშინ, რა ხაირი ვნებით აენტებს მას ზირისასუ, როგორ გაწითლდება და გამწარდება, რა ხაირად დაიწეებს თავისი ქვეყნისა და ხალხის დაცვას ან გამოსარჩლებას!..

ამ გვარი სიუვარული ვეუფას აქვს, ვინაც კი სული ზირში უდგია, სწორედ ისე როგორც დედისა ან დის სიუვარული ვეუფლ ხორც-შესხმულ ადამიანს დაბადებიდგანვე გამოუვება. ვის არ აგვსება თვალი ცრემლებით, რომ და უკინონ, ან და გაუუზატეონ? ვინ იქნება იმდენად უსუსური, რომ მათთვის თავი არ გამოიდვას? ადამიანის გულში მამულსაც სწორედ იმისთანა ადგილი უკავია თავისთავად, როგორც დედის ან დის სიუვარულსა და ზატევისტემას უჭირავს...

მაშასადამე, არც დიდი ვაჟკაცობაა, არც სატრატახო რამ არის, იმით ვიქადოდეთ — „მამული გვიუვარსო!“ ამის თქმა მარ-

ტო ჩვენს საკუთარ რეგვენობას გამოაშ-
 კარავებს და მარტო დანახებს უველას,
 რომ ერთობ დაბლა ვმდგარვართ კან-
 ბის განვითარებით, თუ ამ გვარი უბრა-
 ლო ბუნებითი გრძნობა იშვიათს ან გან-
 ვითარებულ გმირობად ჩაგვითვლია. რომ
 გამოვიდე მინდორობე და გვეხნა დავიწყო
 — ძლიერ მიუვარს მე დედა ჩემი, რას
 ემსგავსება ეს ჩემი ლაზარაკი? სომ უვე-
 ლას შეუძლებს მიზანუხოს სრული საფუ-
 ძლიანობით: ბიჭო, რას მიუღებ-მოუღე-
 ბი? დედა ვის არ უუვარსა, დედის ზატი-
 ვისტემა ვის არა აქვს? ისეთი რამ უნდა
 დაიტრახასო, რაც მართლაც ძნელი ან იშ-
 ვიათი იყოს, თორემ „გატი არ მომი-
 კლავსო“ რომ სთქვას, ან ტალახის მა-
 გიერ ზურსა და უველს ვლამო, ეგ რომ
 უველას შეუძლია სთქვას!“

როგორც ამის თქმას სისულელე, სწო-
 რედ იმნაირივე ხეზრობაა იმით იკვეხნი-

დეს კაცი, რომ მამულს ვემსახურები, მის სიკეთეს ვეძებ, მის სხსარგებლად ვშრომობ. რომელი გონიერი კაცი დაიწყებს ქაღილს, რომ დედა ჩემს ჰატოვს ვსტუმო, კარგათ ვასმეგ და კარგად ვაჭმეგ, მის ხეიარანად რჩენას ვცდილობ, მისი კეთილდღეობისთვის ვშრომობ? ხომ არაფინ? ხეიარან და გონიერ საზოგადოებაში სწორედ ამნარათვე სუკადრისო იქნებოდა ქაღილი, რომ მამულს ვემსახურები.

თქვენ წარმოიდგინეთ, რა სიცილს და ხარხარს დააყრიდენ საფრანგეთში ან ინგლისში იმისთანა კაცს, რომელიც იმის თქმას გაბუღავდა—ჩემი მამული მიუფარს და ჩემი სამშობლას სიკეთისთვის ვშრომობ!.. ეს საფოულთანო მოვალეობაა, ისეთი, რომელიც ფოულ ხეიარან კაცს, ვინც ხეზრე, ქურდი ან უსულო არ არის, უნდა ჰქონდეს. და იმაზე უმეტესი სი-

ტუტუტე წაღა იქნება, კაცი ზირდაზირ
 ამტკიცებდეს, არც ხეპრე, არც ქურდი,
 არც უსულთ ვარა!

მაგრამ, თუშტა სურთა და საუფუელ-
 თა მთავალებოა ეს მამულის მსახურება,
 ჩვენში ის ჯერ იმდენად როდია გავრცე-
 ლებული, რომ უველამ კარგად იცოდეს,
 რაში მდგომარეობს ეს მთავალება ან
 უველას ესმოდეს, თუ რაგვარად უფრო
 ადვილი და გამოსადეგია მისი ასრულება.

მართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსა-
 ხურება? რაში მდგომარეობს ის საზოგა-
 დო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს სჭი-
 რია? რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს
 მისმა შვილმა, იგი მას რა ნაირად უნდა
 ემსახუროს?

IV.

სწავდასწავა ზირს სულ სწავდასწავა ნაი-
რად ესმის ეს კითხვა, სულ სწავდასწავა
ნაირად ეხატება თავში ეს სიკეთე. ჩვენს
ქვეყანაში იმისთანა ზირიც მოიძებნება,
რომელსაც იქნება ეგონოს, რომ საქარ-
თველად სიკეთე მაშინ იქნებაღ დაფუძ-
ნებულად, როცა ყოველი ქართველი, ყო-
ველი კაცი, საქართველად ნიადაგზე
მცხოვრები, მართლმადიდებელი სარწმუნ-
ოების იქნებაღ. შესაძლებელია, რომ
იმგვარი მოახრენიც მოგვანახეთ ჩვენში,
რომელთა აზრით საქართველად სიკეთე
იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა ქარ-
თველმა ან საქართველში დასახლებულმა
ზირმა წერა-კითხვა და თვლა იცოდესღ.
სხვეს, უფრო მძიმეებულ რიტხვს, ის
აზრი სწამს, კარგი მაშინ იქნებაღ, რო-

ცა ქართული ენა ეველას ჩინებულად
 ეცოდინება... ეველას შესედულობას აქ
 არ მოვიუვან. რამდენი კაცია, იმდენი
 შესედულობაც არის ჩვენში. სჯამე ისაა,
 —რამელი ამ შესედულებათაგანი სწო-
 რეა, და რამელი—შემტდარი.

შკითხველი ადვილად დამეთანხმებს,
 რომ ათასი ამისთანა შესედულება რომ
 ჩამოფოვალთ, ჩვენს ქვეყანაში გაგრცელე-
 ბული, ეველა ერთიანად ცალ-მხრივი იქ-
 ნება. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ
 წერა-კითხვის და თულის ცოდნა კარგი
 ან სასარგებლო არ იყოს? მაგრამ სა-
 კმათა, განა, მარტო წერა-კითხვის ცოდ-
 ნა კაცის ბედნიერებისთვის? რამდენი
 ამისთანა კაცი გვინახავს, რომ წერა-
 კითხვა კი არა, ისტორიაც და გეოგრა-
 ფიაც ცოდნოდეს, მაგრამ მანც უძლეური
 ან უბედური დარჩენილიყოს? ასე ითქმის
 ქართული ენის ცოდნაზედაც. იყო დრო,

როცა მთელი საქართველო მარტო ქართულ ენას ხმარობდა, მარტო ქართული იტოდა, და კარგადაც იტოდა; როცა შკოლეებში კი არა, სხვახარველებშიაც ხმარობდნენ ამ ჩვენს ენას... მაგრამ ნუ თუ ამ ბუნებრივ დროში. არაფერი ჰქვამდა ჩვენს ქვეყნას და ხალხს? ნუ თუ მარტო ქართული ენის ცოდნამ გააბუნებებს საქართველო, და ნუ თუ ჩვენი მამულის დაცემის მიზნით მარტო ის იყო, რომ ჩვენმა წინაპრებმა ქართული ენა დაივიწყეს? რასაკვირველია, დედა-ენა ძვირფასია რამ არის: ის ისეთი მძლავრი კავშირია, რომელიც საზოგადოებრივ ძალას შეადგენს და ხალხს ერთი მიზნისკენ წინ წაწევას უადვილებს. მაგრამ, როგორც კავშირია, როგორც ძალა, ის მარტო საშუალებას შეადგენს, და არა მიზანს, მაშასადამე, საქმე ის უნდა იყოს, თუ თვითონ ეს მიზანი რაში უნდა მდგომარეობდეს?

გაკვრით კიდევ ვსთქვი წყლან, რომ ამ კითხვის გარჩევა იმ კითხვის გამომკვლევასუა დამოკიდებული—თუ რამ დასტა ჩვენი მამული.

როცა ამ უკანასკნელ კითხვას გამომვიკვლევთ, პირველიც განმარტებული გვექნება.

— როგორ თუ რამ დასტა ჩვენი მამული, შემომკვივლებს ვინმე ცრუხატრიოტი, იმან დასტა, რომ ჰატარა ხალხი ვიყავით, და დიდრთები შემომგვესიაო. ვერ გაუძელით, და ის იყო ჩვენი დაცემის მიზეზი! მითმინეთ, ბატონო. ჰატარა, ძლიერ ჰატარა ხალხი იყო საქართველას ხალხი, სპარსელებთან შედარებით, მაგრამ ხომ ვერ დასტა ჩვენი მამული დიდმა სპარსეთმა? დიდრთნი ხალხნი გახლდენ ის ხალხნი, რომელნიც ჩვენს ქვეყანას მურვან-ურუმ, ჩინგის-ყაენმა ან თემურლანგმა დასია, მა-

გრამ ამ ხალხებმა ხომ ვერ მოსწეს ვერც
 ჩვენი განვითარებული ანსებობა, ვერც
 ჩვენი თვისტომობა? თსმალეთი ჩვენზე
 ათასჯერ უფრო ძლიერი და დიდი იყო,
 მაგრამ ხომ ვერ მოგვერია შინც, ხომ
 ვერ ამხრცა ისტორიიდგან ჩვენი სასუ-
 ლი და დიდება? თუ კი ოცი საუკუნე
 გავუძლით ამდენ დიდრცხ ხალხებს, თუ
 კი ამ ოცი საუკუნის ბრძოლაში იმდენათაც
 ვერ დაგვლდა, რამ მათს დამძლევეს
 ჩვენს ქვეყანას იმისთანა ბრწეინვალე და
 სახელგანნი შეუობა ედრისა, რეგორც
 ერეკლე შეორისა, — რამლის მსგავსიც
 ჩვენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მე-
 თის აქით აღარ გვინახავს, — ნუ თუ ეს
 იმას არ მოასწავებს, რამ ამ შემთხვევა-
 ში მარტო დადალეულობას კი არ უმ-
 ქმედებია, მარტო მტერი ტომობას კი
 არ უმუშავნია? ჰატარა ხალხი ვიუავით,
 დიდრცხებთან შეტაკებული, დიდრცხების

მებრძოლი, მაგრამ მაინც ვძლებდით, მაინც მარჯვენა ვიყავით. რა იყო მიზეზი? ის იყო, რომ თვითონ ეს დიდრონი ხალხი ჩვენ მარტო რიტხვით გვერეოდნენ, და ხანდისხან მარტო იმით გვეჯობნიდნენ, რომ თითო ჩვენს მეომარს ოცი ოსმალი ან სპარსეთის მხედარი წინ უხვდებოდა. მაგრამ თითო თითოდ რომ შეგვედარებია ერთი ჩვენი მხედარი ერთი მტრის მხედრისთვის, ეს უკანასკნელი ვერაფრით ვერ სჯობნიდა პირველს. ორივეს ერთნაირი იარაღი ჰქონდა, ორივეს ერთნაირად გაზრდილი იყო, ერთნაირი სწავლის პატრონი... ჩვენს მხედარს ის უპირატესობაც კი ჰქონდა მტრისაზე, რომ თავისი მამულის, სახლკარის, ცოლ-შვილის დასაცველად იბრძოდა, და მტრისა კი ომობდა სხვის დასაკლებად. მტრისთვის სულ ერთი იყო, აიკლებდა — ქართველს, თუ ლეკს, თუ

ოსს, თუ რუსს. რაკი იმას ქართველი
 გამწარებულად უწინააღმდეგებდა, მტერი
 მას თავს ანებებდა და სხვაგან მიდი-
 და, იქნება გამარჯვება და აკლებს იქ უფ-
 რთ ადგილად შევიძლო... უკვლამ იცის
 რამ-სიდიდე ძალას შეადგენს ომში და
 ბრძოლაში ის თავგანწირულობა, რომ-
 ლითაც კაცი თავის ოჯახსა და კერას
 იცავს... ეს გრძნობა ხშირად გვამარჯვებ-
 ბინებდა მტერზე, ამ გრძნობით ვსჯობ-
 დით მტერს, ეს გრძნობა იყო იმის მი-
 ზეზი, რომ ასე ქართველი ათას ამკლებს
 ერთად და უკუაქცევდა... თორემ სხვა
 მხრით უკვლავურში სწორნი ვიყავით
 მტერთან, რიცხვს ან რაოდენობას ვარდა.

ასე წარმოებდა ჩვენი ცხოვრება. მაგ-
 რამ ბოლოს ქვეყნის ისტორიაში ახალი
 ძალები გაჩნდა. ზოგიერთი ხალხი მეტ-
 ნიერებამ ერთობ დააწინაურა, და ვინც
 ამ მეტნიერებას არ მიეკარა, ის უწინდე-

ლიფით სუსტი დარჩა. ამის ხასიათიც
 შეიცვალა. ჯარებისთვის ახალი იარაღი
 შემოიღეს, რომლის გაკეთებასაც და ხმა-
 რებსაც დიდი ცოდნა და მოხერხება სჭი-
 რდა. ისეთი ზარბაზნები მოიგონეს,
 რომელსაც წინ ვეღარ დაუდგა ვერც ერ-
 თი ჩვენი ციხე-დარბაზი. ჩვენი მამა-
 მამური ციხეები ქართლში და იმერეთში,
 თათრებმა ამ ახალი ზარბაზნებით, ცხრა
 მთის სიშორიდან დაგვიზარეს. იმათ ეუ-
 რაობაში ემოვნათ ეს ზარბაზნები, და
 ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ ამ ხაირი მან-
 ქანა სადმე არსებობდა... და რაც მტრის
 რიცხვს ჩვენთვის ცდი საუკუნის განმ-
 ვალლობაში ვერ დაეკლა, ის ცდი წლის
 განმავალობაში მტრის და წინა ურებს მ
 წაგვართვას: მაშინ უცხეთის წინ დაიჩი-
 ქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო, რომ
 უცხეთი ჩვენზე უფრო ასტატი, უფ-
 რე მეტნიერი, უფრო განიერი უფო-

ლა. რაკი ჩვენ რწმუნებს დაგვარგეთ ჩვენს
 თაჳსე და გონებასე, რაკი ჩვენს საკუთარ
 გულში ბრძად და სეზრად ვიცხანით თა-
 ვი, რაკი ის მორალური ძალა სელიდამ
 გაგვიცურდა, რამელიც ამჳად შეგვატა-
 კებდა ხელმე ათჳერ თუ ასჳერ უფრო
 მომეტეულ მტერს, მას აქით ჩვენ მოფ-
 ტედით და წავსდით. მტერმა კი არ
 დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების
 დაკარგვამ“ წავგახდინა. აღარ გვწამდა
 ჩვენი თაჳი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში
 რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა.
 აი, მარტო მაშინ გაგვიჴდა ტუინში ის
 მანიკა, ის ასაღი, უცხოობი ძალის შიში,
 რამელიც სშირად მიღიონებისგან შემ-
 დგარ ხალხს ათას კაცს უმორჩილებს...
 ამის მაკალითს ჩვენ დღესაც ვხედავთ
 ინდოეთში. ორასი მიღიონი ინდოეთლე-
 ბი მორჩილებასში უაჳს ოცი ათას ინგლი-
 სელებს... რას უზამს ეს ოცი ათასი

კაცი, თუ გინდ თითონ გრუხის წარბა-
წანიც ჰქონდეს, მთელ ცრასი მილიონ-
ნისგან შემდგარ ხალხს, ეს ხალხი რომ
განუბითად დახოქებული არ იყოს ამ ცდი
ათასი კაცის შეცნოერების წინ?

აი, ბატონო ჩემო ცრუბატრიოტო,
რამ დახგრა, რამ დასცა და უკან და-
სწია ჩვენი ქვეყანა. უკან დასწიათ, რომ
ვსოქვი, სწორი სიტუვა არ მინძარია.
დამიჯერეთ, დღევანდელი საქართველო
ათასჯერ უფრო წინ წაწეულია იმ საქარ-
თველოზე, რომელიც მეთექვსმეტე, ან
მეჩვიდმეტე, ან მეთვრამეტე საუკუნეში
ისე მამცურად თავს იჩენდა. ხალხიც
მომეტეებულია დღეს შიგ, სწავლაც დღეს
უფრო დაწინაურებულია, სიმდიდრეც უფ-
რო გავრცელებულია, — ერთი სიტუვით,
ეველათერთ უფრო მძლავრია დღეს ჩვე-
ნი ხალხი, ვინემ უწინ იყო. საუბედუ-
როდ, მაშინ ჩვენი მეზობლებიც ჩვენსა-

ვით განვითარებული და განათლებული იყვნენ, და არა ჩვენსე უმეტესად. დღეს უკვლავ ჩვენი მეზობლები, და მთელი უცხოეთი, ათი-ათასჯერ, ან ასი ათასჯერ უფრო დაწინაურდნენ უწინდელსე, ჩვენ კი მარტო ათასჯერ უფრო გავმავრდით... აი ეს გარემოება შეადგენს ჩვენს უბედურებას, თორემ ჩვენი მეზობლები რომ ჩვენსე უფრო არ დაწინაურებულიყვნენ, დღესაც ისე ადვილად შეგუძლებოდა მათი მოკრევა და მათ შუა მარჯვედ გამოჯგობვა, როგორც უწინ გვხვეოდა...

ეს მიბრძანეთ ახლა, რა წაგვწევს წინ, რა დაგვაწინაურებს იმოდნათ, როგორც სხვა ხალხი დაწინაურებულა? ამაში ხომ უკვლავ თანახმანი ვართ, რომ მათი მოწევა, მათთან გასწორება შეუძლებელი საქმე არ არის, მაგრამ ის უნდა გავშინჯოთ, რა გზით შეიძლება ამ მიზნის მიწევა?

ნუ-თუ შესაძლებელია სხვის ჯობნა,
 თუ კი ჩვენ ამ სხვას არ გავიცნობთ?
 ნუ-თუ მარტო ის დაგვაწინაურებს, თუ
 ჩინეთის კედლით შემავსადღურეთ ჩვენი
 ქვეყანა? თუ კი სხვის მწერლობას არ
 შევისწავლით, სხვის მეცნიერებას არ შე-
 ვიძენთ, სხვის გამომცდილებას არ დაუ-
 მკვიდრებთ, ნუ-თუ მარტო ძველი ჩვენი
 ენის გასუბიერებით, ძველი ხელნაწერების
 ტრიალით, ძველი ჩვეულების გასსენე-
 ბით შეგვეძლება იმ ძალის მოხიზება,
 რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და
 სხვის ზატავს შეგვიძენს? ნუ-თუ მარტო
 ქართული ენის შემწეობით შეგვეძლება
 ჩვენ—ან შევძლება ჩვენს ახალგაზდობას
 —ის მეცნიერება შეიძინოს მოკლე დრო-
 ში, რომელიც სხვებს მთელი საუკუ-
 ნების განმავლობაში მოუგრავუბიათ?
 ნუ-თუ ზატრიოტულ გრძნობას ახშობს ან
 სდევნის სხვისი ენის შესწავლა, სხვისი

ცხოვრების კაცნობა? ნუ-თუ ვაშინგტონი
 ნაკლები ან უხეირო ჰატრიოტი იყო
 იმით, რამ ფრანგული ენა იცოდა, ან
 ინგლისის კარგი და ავი ჩინებულად შე-
 სწავლილი ჰქონდა? ნუ-თუ ბატ. ილ.
 ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძკერის
 და ნამდვილი ქართული გრძნობა არ
 აღეფეებს, რაკი მარტო რუსული წიგ-
 ნებით გამოზდილია, რაკი რუსეთში შე-
 უძენია მთელი თავისი ცოდნა, და რუ-
 სულ სასწავლებლებში გაუტარებია მთე-
 ლი თავისი ახალგაზღვობა? კაცი იყო,
 თორემ, სადაც უნდა ისწავლეს, კაცად
 მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ
 დაეკარგება. მარტო უსუსურები ხდებიან
 და ფუჭდებიან სხვის გაფლენის ქვეშ, და
 უსუსურს გინდ სიკვდილამდი ძიძად გა-
 უხდე, გინდ ნიადაგ ჭკუას ასწავლიდე,
 ხეირის მოტანა მაინც თავის დღეში არ
 შეეძლება...

წასაკვირველია, ჩინებული საქმე იქნე-
 ბოდა, ჩვენ რომ ახლას საშუალება გვაქონ-
 დეს მთელი ევროპის მეტნიერება გადავ-
 ტეთ ჩვენს ხალხს ან ჩვენ ახალგაზდო-
 ბას ქართულ ენაზე, ქართულ სასწავლებ-
 ლებში. მშვენიერი რამ იქნებოდა ეს, და
 მთელი ჩვენი შეძლება ან ღონე იმას უნ-
 და მივმართოთ, რომ ოდესმე დააწესდეს
 ჩვენში ამ გვარი ნეტარი მდგომარეობა.
 მაგრამ დღეს, როცა ამის საშუალება არა
 გვაქვს, და როცა აუცილებლად საჭიროა,
 რომ უწინდელს გონებითს სიბრძნეში
 არ დავტოვოთ ჩვენი საზოგადოება,
 ბრძანებთ კი უნდა მიხვდეს, რომ უოველი
 საშუალება, რომელიც ამ საზოგადოებას
 გონებას განუვითარებს და გააძლიერებს,
 რომელიც მას გულში იმედს ჩაუნერგავს
 ან მხარში ძლას მისცემს, სასარგებლო
 იქნება ჩვენი ხალხისთვის. ნუ-თუ, მა-
 გალითად, კარგს იზამდენ იღ. ჭკუჭ-

ვადის მრჩეველები 1856-ში, რუსეთში წასვლას რომ დაეშალათ მისთვის და ეთქვათ—სჯობს ქართულად გამომიხადო, რომ ქართველობის გრძნობა არ დაგუკარგოსო? ნუ-თუ ამით სარგებლობას მოუტანდენ ისინი საქართველოს? ხომ არა? მას სწორედ ამნაირადვე შემტყდარია ის, ვინც ახალგაზდობის აღზრდის და საზოგადო განათლების საქმეში მარტო ენას ან გარეგან გამართულებას შეეჩერებოდა, და არსებით მხარეს,—სწავლის შინაარსს ან მიმართულებას კი ივიწყებს...

მაცნოვანმა ბრძანა, — რატა ჰკითხეს, რომელს ტადარში უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთთან უფრო ადვილად მიაწიოსო, — „ოდონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იუოს, და სადაც უნდა ითქვას, უფელგნით ზეტას ავაო: ტადარშიაც რომ არ იუოს კაცი, თუნდ მინდორობი ლოცულობდეს წრფელის გულისთ, ღმერთი მის

ლტვას მაინც შეისმენსო“. ჩვენს მდგომარეობას მეტის-მეტად შეკეუვრება ეს მტნება. დიას, სადაც უნდა ვისწავლოთ, ვის შევლავშიაჩ ჩვენ უნდა მოვემზადოთ, აღვინდ კი გულში მამულის მსახურების წრეველი ან მხურვალე სურვილი ვიქონიოთ და ჩვენი შრომა ნყოფიერი იქნება, მამულს გამოადგება... საუბედუროდ, ჩვენ ეს გულწრფელობა და გულმხურვალეობა, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ, ვნება (страсть), გვაკლია.

V.

დიდი უბედურებაა ჩვენის ქვეყნისთვის ეს ნაკლულევახება. ჩვენის ემწვილების უმეტესი ნწილი თითქო მარტო წახადვით მოქმედებს. მათ ჰგონიათ, თუ საზოგადო მოქმედი ჰირის გარეგანი მოვალეობა შევასრულეთ, თუ წარმოვიდ-

გინეთ, რომ ვშრმობთო, მეტი აღარა-
 ფერი მოგვეთრევათ. მათთვის თითქო
 ერთია, გარბდება რამ ამ ცრუ შრმით,
 თუ არა, გაძლიერდება ამით მამული,
 წამოიზრდება ხალხი, მოახლოდება შო-
 მავალი, თუ არა. თითოეული მათგანი
 ბურჟუაზიულად ცხოვრობს. მას თავისი
 საკუთარი საქმე აქვს, თავისი კერძო სარ-
 გებლობა, და ამ საქმეს, ამ სარგებლო-
 ბას უნდება უმეტესი ნაწილი მათის დრო-
 ისა, უმჯობესი ძალა მათის გონებისა
 და ვნების. ზოგი თავის კერძო სამსა-
 ხურს მიწოდია, და უფროსების თვალში
 შეჩერებას უნდება, ზოგი ვენახს უვლის
 და დიდდგან სადამომდი იმასე დარდობს,
 ვაი თუ სეტყვამ ვაზი წამოიხდინოსო,
 ზოგი მარტო იმასე ზრუნავს — მომავა-
 ლი კენჭის ურის დროს გამაშავებენ, თუ
 გამათეთრებენო, ზოგი მის ზრუნვაშია,
 გაკვეთილებს ვიშოვნი, თუ არა, ჯამაგირს

მომიმტებენ, თუ არა... რა, სამიც
 არ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ისეთი კა-
 ტი, რომ მამულის ან ხალხის მეტი სა-
 ზრუნველად და სადარდებლად არა ჰქონ-
 დეს რა, რომ საზოგადო საქმის მეტი
 არაფერი ახსოვდეს, რომ მამულის სი-
 კეთის მეტის არაფერი მაღა ჰქონ-
 დეს, არას გრძნობდეს... ჩვენში ამნაი-
 რი კატის სურათი მწერლობას ჯერ იდე-
 ალათაც არ გამოუხატავს. ამის გამო ავი-
 დეთ რუსული მწერლობიდან თუნდ ამის-
 თანა უფერული და სუსტი იდეალი, რომ
 გორსაც ტურგენევის ინსარფი წარმო-
 გვიდგნს მოთხრობაში „Накануне“.
 დააკვირდით და ნახვით, რომ თავის მა-
 მულის მეტი ამ ინსარფს რადი რამ
 უფარს, რადი რამ სწამს. მსხვერპლად
 კი არ სწირავს იგი მამულისათვის თა-
 ვის კერძო სურვილს ან მაღას, — არა-
 ფერი სხვა მაღა არა აქვს, არაფერი სხვა

კერძო სურვილი მის გულის არ ებადება,
 ამიტომ რომ დიდიდგან საღამომდი, უნუ-
 ბურად, მის გონებას მარტო მამულის
 მდგომარეობა ეხატება... ვნებით აღფსუ-
 ბულია ის ამ მამულისთვის. ფუნქციონე-
 რება, თუ რას იტყვიან მასე, ან სა-
 ჭმელი რა ექნება სიბერეში, ან მისი ნა-
 თესვაები როგორ მდგომარეობაში ჩავარ-
 დებიან ბოლოს—ამგვარი აზრები მას,
 კიდევ რომ შინდამის, აზრად არ მო-
 დის. ავად ხდება ინსაროვი. წამლობასე
 კი არ ფიქრობს, მოსვენებას კი არ ეძებს
 —იქ მიდის და იქ შრომას ეწაფება, სა-
 დაც მამულის სარგებლობა შოთხოვს.
 მისდა უნებურად ქალი შეუფვარდება, ისე-
 თი ქალი, რომელიც შინათა მთელი თა-
 ვისი სიღატაკე ამავუ მამულის სასარ-
 გებოდ შესწიროს. მაგრამ ამ ქალთან
 განცხრომას კი არ მიეცემა, მის სიუვა-
 რულში კი არ იფიქრებს მამულის სიუვა-

რულს, მის სიკეთისთვის ან კეთილდღეობისათვის სამსახურში კი არ შედის, ან ადგილს და შეძლებას კი არ გამოეკიდება: ამ ქალსაც იგი ისე მიათრევს თავის მამულში, ბრძოლის ველზე, თითქმისურჯინი თან წაეღოს: ერთი სიტყვით, ის ვნებით ავსებულა, მას ვნებით უფარს მამული, და სხვა არც მადა აქვს რამე, არც სურვილი, არც ინტერესი. თუ მამულის საქმე კარგად მიდის, ის მსიარული და ბედნიერია. თუ მამულს უჭირს, ისიც გაჭირვებულა. კერძო გრძნობაც არ სუფევს მის გულში. მამულის ხანგრძვებსე ვერ დაამყარებს იგი თავის კერძო ბედნიერებას, მამულისთვის ფუჭი თხვრით ვერ მთინდომებს და ვერ მოახერხებს, შეძლება ან კეთილდღეობა შეიძინოს. ის ვერ გასუქდება. როცა მისი მამული ასე მჭლედ არის, ვერ გამოდიდრდება, როცა მისი თანამემამულენი

გადატაკებული არიან, და ნეტარებს ვერ
 მიეცემა, ვერ დაისვენებს, ვერ დატბრე-
 ბა, სანამ მამული კეთილდღეობაში არ
 შევა... ამიტომაც ის კვდება უძროდ
 იმ შრომაში, რომელიც მარტო მის მო-
 სვენებას და ბედნიერებას შეადგენს...

გვყავს ჩვენ ამისთანა მოქმედი? თქვენ
 თვითონ მიეცით ზასუნი ამ უბრალო
 კითხვას. ნეტავი თქვენ, თუ შეგხვედ-
 რიათ სადმე, ჩვენში, ამგვარი გმირი. მე
 კი გული მიკვდება, რომ ამნაირი კაცის
 ღანდსაც ვერ ვზოულაბ ჩვენს ქვეყანაში.
 მათ მაგიერ ვხედავ, რომ ჩვენი მოქმედი
 ზირნი გულმოდგინედ უველასე უფრო
 თავის კერძო ბედნიერებას ემსახურებიან,
 მამულსე კი მარტო მაშინ მოიფიქრებენ,
 როცა საკუთარ საქმეებს მოილევენ, უვე-
 ლა თავის კერძო მადას დააკმაყოფილებს
 და ჩინებულ სადილს შემდეგ, მშვენიე-
 რად მორთულ დარბაზში განტბრდნის

მიეტყმა. მაშინ, სამსაღვთოდ, ხან ქა-
ლების შროზე ჩამოკლებენ მუსაიფს,
ხან მამულის უბედურებაზე... რასაკვირ-
ველია ამგვარ კაცებს ნამდვილი მეტადი-
ნობა მარტო იმაზე აქვთ მიქცეული,
რომ მამულის აჩქარებულმა მოძრაობამ მს-
თი კერძო კეთილდღეობა არ შეარყიოს...

დათუქრდით ამაზე, და მაშინვე მი-
ხედებით, მაგალითად, იმ საკვირველი
შემთხვევის განმარტებას, რომელსაც
ჩვენ, ვსთქვამთ, ქართული მწერლობა
წარმოგვიადგენს. ხომ უოველდღე გვეს-
მის ამ „მოქმედი ზირებისგან“ საჩივარი,
ჩვენს მწერლობას საშუალება არა აქვს
კარგი წიგნები ბეჭდოს ან თარგმნოს,
ხეირიანი სახელმძღვანელოები გამოსცეს
ჩვენი შკოლებისთვის, უურნალი ან გა-
ზეთი გაუმჯობესოს, და სხვ. და სხ.?
ვისგან გვესმის, უფრო ხშირად, ამ ნაი-
რი ჩივილი? იმისთანა ზირებისგან, ვინც

მარტო თავის თავზე, მარტო თავის
 მუცელზე ან სხეულზე, ხუთას და ექვსას
 თუმანს ხარჯავს წელიწადში, ვინც არც
 მდიდრულ ცხოვრებას იკლებს, არც ბა-
 ტონობას, და ას მანეთს კი არ იმეტებს
 წელიწადში, სამშობლო მწერლობის შე-
 სწავლად. ჩვენი თეატრი წელ-მოწვევ-
 ტილად მიდისო, ჩვენი მწერლობა დაცუ-
 მულიაო, — ამას ხომ ვუკლასკან გაიგო-
 ნებო. ვუკლას კარგად ესმის, რომ ეს
 ვუკლასიერი უფრო საშუალების, ფულის
 უქონლობისგან გვეშართება. და ამ სა-
 შუალებას, ამ ფულს კი არა კაცი იმე-
 ტებს, თუმცა იგივე ემაწვილი, რომე-
 ლიც ამბობს: „ღარიბნი ვართო“, მი-
 ბრძანდება და ორასი მანეთის ტანსაცმელს
 ეიდულობს ან უოველ საღამოს ხან სამ
 თუმანს აგებს ბანქოში, ხან ხუთს, ხან
 ათს, ხან ასსაც და უფრო მეტსაც! გულ-
 წრფელად რომ უუვარდეს მას თავისი

მამული და მწერლობა, ნუ თუ შესაძლოა იქ-
 ნებოდა ამგვარი მოვლენა? მაშინ ეს უმაწვი-
 ლი ტანსაცმელსაც უბრალოს დაჯერდებო-
 და, ბანქოს თამაშისგანაც ხელს აიღებდა,
 დიდ კაცობასაც გამეთნოოვე ბოდა, და მარ-
 ტო მამულს ან მარტო მწერლობას მია-
 ლეუდა მთელ თავის ქონებას, ამიტომ რომ
 სხვისი მადა და სურვილი არც კი ექნებო-
 და. ნათქვამია, კაცს არ შეუძლია ორ ბა-
 ტონს ემსახუროსო, და ეს სიტყვა მტკიცე
 ჭეშმარიტებაა. ვერ ემსახურება კაცი ერთსა
 და იმავე დროს თავის კერძო ინტერესებს
 და მამულის სარგებლობას, ვერ გაიჩენს
 ორ ღმერთს, ვერ გაუძღუბს ორ ბა-
 ტონს. ან ერთი უნდა დაივიწყოს, ან
 შეორე, ან ერთისაგან უნდა აიღოს ხე-
 ლი, ან შეორისაგან... და სხვა იგი ამ
 გადაწყვეტილებას არ დაადგება, ორივეს
 სამსახური უხეირო, უღაზათო და უსარ-
 გებლო გამოუდის...

VI.

დავუბრუნდეთ, ისევ, წელანდელ ჩვენს სკანს, და ისევ იმაზე ვითიქროთ, თუ რამ დასტა ჩვენი ხალხი, ან რა სჭირია მას დღეს, გასაძლიერებლად? ჩვენის ხალხის დასუსტების ერთი მიზეზი წელან მოვიუფანე. მეორე მიზეზიც იყო, აგრეთვე მეტისმეტად შესანიშნავი, და ეს მიზეზი ახლაც უნდა გამოვიკვლიოთ, ამიტომ რომ მის თავიდან მოშორებას უნდა ცდილობდეს ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი. ეს მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ უცხოეთლების შემოსევას კარდა, ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დასუსტა, დააუძლურა.

ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანა-

მედროე მეცნიერების იარაღით არის აღ-
 ჭურვილი, ეს ხომ ერთი და მეორეც
 ის, როცა მთელი ეს მისი ძალა, თანა-
 მედროე მეცნიერების იარაღით აღჭურ-
 ვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და
 მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვ-
 რებაში ხელ-ხელა ისეთი წესი შემოდის,
 რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად
 მიწაში მარხავს, უმოქმედოთ ჭოვანგავს,
 და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო
 მომეტებული შრომობს, როგორც თავ-
 ვის სარჩენლად, ისე იმ ჰირველი ნა-
 ხევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმე-
 დოთ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალ-
 ხის ძალა იღალებს, სუსტდება და სრუ-
 ლიადაც ქვდება. მაშინ მარტო ხალხის
 ძალა კი არ იფანტება უხეიროდ, თვი-
 თონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი,
 დაფარული ბრძოლა ატედება, რომელ-
 შიაც ილეკა ხალხის გონებითი და ფი-

ზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშ-
 ზობა და სმდურავი იბადება, ერთობა
 იკარგება, და ხალხი ორ ბანაკად იყოფა,
 ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ
 ბანაკად... რასაკვირველია, უმიზეზოდ
 როდი დაბადებულა ჩვენში, ძველად, ეს
 უბედური განაწილება და განსეთქილება.
 ჩვენს ქვეყანას ძველად მეომრები სჭი-
 როდა, და მეომრებს რჩენა უნდოდა.
 სოგი გარეშე მტერს ებრძოდა, რომ
 მშრომელი ხალხი უცხოეთლების შემო-
 სევვისგან დაეხსნა, და ეს მშრომელი
 ხალხი, რასაკვირველია, დიდის სიამოვნე-
 ბით არჩენდა, გულწრფელის გრძნობით
 ემსახურებოდა მის დამცველ ჯარს, რომელიც
 მაშინ მისი კეთილი, მოვარველი
 ანგელოზი იყო.

მაგრამ დროთა ვითარებისგან ამ სა-
 ირი განიერი შრომის განაწილება ჩვეუ-
 ლებად გადაიქცა, და ბოლის მშრომელ

ხალხს რჩენა და ბეგარა ისეთმა ზირობმა მოსთხოვეს, რომელნიც მას არც მტრისგან იფარავდენ, არც უცხოეთლების წინ ეხმარებოდენ... მიწა-წყალი ხალხს ხელიდან გამეცდა და მთელი ხალხი იმ კაცთ უურმომტრილ უმად გადაიქცა, რომელნიც უსაქმოდ ცხოვრობდენ და უსაქმობის გამო მარტო სიამოვნებაში ან ქეიფში ფლანგავდენ ხალხის შრომით ნაწარმოებს...

ვისაც ჩვენი მამული უფვარს, მისი ზირობელი მოფალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უკუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმეჭმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩეუვა, სანამ ჩვენი ხალხი შეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამ-

დვილი ერთობა დაარსდეს, ან გუგუ-
 წრეული ძმობა, ან ხეირანი განწყობი-
 ლება. მაშასადამე, ეგეგაფური, რატეკე-
 ნომიურ სამართლიანობას გვი-
 ახლავს, ჩვენის მამულის სსსარგებლად
 უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგ იმას უნდა
 ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავ-
 ლეს ნაწილს გავუადვილოთ თავ-
 ვის გათავისუფლება ესლანდუ-
 ღის დამოკიდებულ-მდგომარე-
 ობისაგან. ხალხი მაშინ გაძლიერდება,
 მაშინ დაძმობილდება, მაშინ შეადგენს
 ერთ ძმურს ოჯახს, როცა სიდაო არა ექ-
 ნებათ რა სხვადასხვა წოდებას, როცა
 ეგეგანი შრომას გაერთობიან და შრომას
 ისე გაინაწილებენ, რომ თითოეულის
 შრომა ეგეგა სხვის შრომის გაადვილება
 იქნება და არა გაძნელება.

ამის მაგიერ, რომ ნამდვილი განსეთ-
 ქილების შემცირებას ან მოხშობას ვცდი-

ლობდეთ, ჩვენ რას ვშვრებით? გვინდა
 გაგუჩდეთ ამ საწყენს საგანზე, გვინდა
 ხმა არ ამოვიღოთ, გვინდა გაჩუმებით
 დაფაჯვროთ გარეშე ზირები, თითქო ჩვენ-
 სს, ჩვენის ხალხის ოჯახში, მართლაც ერ-
 თობა და ძმობა შეუფაბდეს. ბრეიუობა
 და ბავშობაა ეს ჩვენი ანგარიში. ხალხის
 ცხოვრება და მდგომარეობა კერძო ოჯა-
 ხი ხომ არ არის, რომ ხალხის სხვადა-
 სხვა ნაწილის ქიშხობის ან განხეთქილე-
 ბის დამაღვაც ისე ადვილად შეიძლება-
 დეს, როგორც გადამტერებელი ცოლ-
 ქმარი სტუმარს მხურვალე მოსიუვარუ-
 ლედ ეჩვენებინ ხოლმე? როგორც ჭლექს
 ვერ დამაღვს კაცი თავის აკებულებაში,
 ისე ხალხის ცხოვრებაში არ დამაღვებს
 შინაგანი განხეთქილება და ინტერესების
 მტრობა. ვინც გონიერია, ის ექიმობას
 უნდა შეუდგეს, ამიტომ რომ დღეს

ჭლექსაც არჩენენ თურმე, არათუ უბრა-
ლო ავსთმეოფობას...

ათასი რომ ვიუფიროთ—ჩვენში ერ-
თობა სუფუგსო, ძმობა მეფობსო, კეთი-
ლი გაწეობილება არსებობსო, ამით ჩვენ
მარტო საკუთარს თავს მოფატეუებთ,
ჩვენ ხალხს ვაფნებთ, მის მოძავაღს წა-
ვანდენთ... ჩვენს ცრუზატრიოტებს ეი—
ამ უკანასკნელის წლის განმავლობაში—
მეტეი შრომა არა ჰქონიათ რა, რომ ეს
ბრძოლა, ეს კანსეთქილება დამალონ,
მათზე ხმა არ ამოიღონ, მათი ხსენება
მოსპონ მწერლობაში და საზოგადოებაში.
სირაქლემმა იცის ასე: მონადირეს რომ
დაინახავს, მაშინვე ბუჩქში თავს შეჰყუთოს
და თვალებს დახუჭავს: ჰგონია, რაკი მტერ-
სა და მის თოფს ვეღარ ვხედავ, ვერც
მონადირე დამინახავს და ვერც მავნებსო.

ჩვენი ცრუზატრიოტები რომ თავის
მამულის გონიერნი მსახურნი იყვნენ, მს-

თა ზირველი და უმთავრესი შრომა ჩვე-
ნის ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზე იქ-
ნებოდა მიქცეული. „მიერთ ხალხს სარ-
ხა, და სწავლას ის თვითონაც შეიძენ-
ს“, გონიერად სთქვა იმ მწერალმა,
რომელსაც ჩვენი ცრუპატრიოტები ოდეს-
მე დიდ ზატივს სცემდენ... გაუადვილეთ
ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის და-
ხსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების
მონობისგან, მიწა დაუმკვიდრეთ, და
მუქთახორებისგან დაიხსენით, ან ასწავ-
ლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სა-
სარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ,
სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე, მი-
უტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ
ნახავთ, რომ მარტო ამხიარი საშუალებით
შესაძლებელი უოფილა, როგორც ერთ-
ბის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპო-
ვება... აი, მარტო მაშინ დამტკიცებთ,

რომ მამულები გუვარებიან და მისი მისა-
ხურება გცოდნიათ.

ზემოთ ვსთქვი, რომ ჩვენის ხალხის
სხვადასხვა წოდებას შუა ბრძოლა არსე-
ბობს. ბრძოლა ორნაირია ქვეყანაზე. არის
ერთი ბრძოლა, მანებელი და დამღუპვე-
ლი, ბრძოლა ლუკმა შურისა-
თვის, დამშულებს შუა ბრძოლა, როცა
ერთი მეორეს ჰირიდგან საჭმელს სტა-
ტებს და თითოეული მარტო სხვისგან
წართმეულით რჩება. ამგვარი ბრძოლა
კიდევ კლავს, მაგრამ მეორე ნაირი ბრძო-
ლაც არის ხალხი ხალხში გამართული,
თავმოყვარეობის ბრძოლა, ქიშ-
პობა იმასზე, თუ ვინ როგორ ისახელებს
თავს, ვინ აჯობებს თავის ტოლს, ვინ
უკეთესად წაიყვანს საქმეს. რამდენადაც
ხალხის ბედისთვის მანებელია ჰირველი
გვარი ბრძოლა, სწორედ იმდენად სასარ-
გებოდა მეორე ნაირი. ჩვენს ჰატრიოტებს

კი ამ ორ ნაირ ბრძოლას შუა განსხვავებებს არ ესმისთ. იმათ სადღაც უფრო მოუკრაფეთ, რომ ბრძოლა მაწინებელია, და ის კი ვერ გაუგიათ, თუ რანაირი ბრძოლა უფთელია მაწინებელი, და რანაირი—სასარგებელი. იმ ნამდვილსა და დამღუპველ ბრძოლას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ისინი კალთას აფარებენ და მალვენ. მაგირად ცდილობენ მოსწონ ჩვენში მეორე ნაირი ბრძოლა, რომლისგანაც ჩვენ უკლანი მარტო ამ მეორეს უნდა უკლადეთ, ცდილობენ კანარმული წესი შემოიღონ და დაუხშონ კონებს უკლას, ვინც მიზნისკენ მათსავით წანტად არ მიიკლავნება.

რაც უფრო რომელიმე ხალხი მდიდარია კონებითაი ძალით, რაც უფრო მოძრაფია, ძლიერია მისი შვილების ჭკუა-კონებს, მით უძლიერია მასში ეს მეორე ნაირი ბრძოლა. მაგალითად თუნდ საფრან-

გეთი დავასახელოთ, ან ინგლისი. სადაა
 იმოდენა ქიშხობა, ან ბრძოლა მოქმედ
 ზირებსა ან მწერლებს შუა, როგორც ამ
 ორ ქვეყანაში? იქ უფუელი დეპუტატი,
 უფუელი მწერალი, უფუელი მოქმედი ზირი
 თავის შესედულებას ზირდაზირ კამო-
 სოქვამს და ცდილობს სხვები დააჯეროს,
 უკვლანი თავის ჭკუაზე ამოქმედოს. შეი-
 ტაკებიან სოღმე ამ სურვილით ავსებულა
 ზირები და მათი ბრძოლა უშუალებელ ომს
 ემსგავსება: მტვერი ადის მებრძოლებს...
 დაუზოგველად, გამწარებულად სთხრიან
 ისინი მოწინააღმდეგეს... რამდენჯერ მო-
 მხდარა ხოლმე, რომ ღუი ბლანი გამბე-
 ტას შეტაკებოდეს, ან გამბეტა ღუი
 ბლანს, აშკარად, მთელი საფრანგეთისა და
 მთელი ევროპის წინ. ხან ერთს მათგანს
 გაუმარჯვია, ხან მეორეს, მაგრამ უფუელ-
 თვის კი მათი ბრძოლით ხალხს უსარგებ-
 ლებია, ამიტომ რომ ბრძოლის შემდეგ

მისთვის უფრო ნათლად გამოხატულა საქ-
 მის მდგომარეობა; უფრო ნათლად გამო-
 ჩენილას ის გზა, რომელსაც ხალხი უნდა
 დასდგომოდა. საფრანგეთის ხალხი მარ-
 ტო მით არის ძლიერი, მარტო იმით
 სჯობს სხვა ხალხს, რომ ათას და ათი-
 ათას ამგვარ ბრძოლას მისი გონება გა-
 ნუგითარებოა, მისი გამოცდილება გაუ-
 დიდებოა, და საკუთარის ჭკუით სიარული
 უსწავლებოა ეგულის აზრის გამოკვლევის
 შემდეგ. ოსმალები კი, ან სპარსეთში
 ამგვარი ბრძოლის ხსენებაც არ არის. იქ
 რასაც ერთი ბრძანებს, ან რასაც ერთი
 წამოძრავს, ეგულის ისე იქცევა. მი-
 ბრძანეთ, ახლას, რომლის ჩვეულების შე-
 მოდებას უნდა ვცდილობდეთ, ჩვენის მ-
 ზულის სიკეთე თუ გვაქვს მხედველობა-
 ში, და არა ჩვენი პირადი სარგებლობა
 ან კერძო თავმოყვარეობა?

აზრების ამნაირი ბრძოლა მით უფრო
 სსსარგებლთა, რომ ის სრულიადაც არ
 სძობს ნამდვილ დისციპლინას, რომელიც
 უფული მთქმელი საზოგადოებისთვის
 აუცილებლად საჭიროა. დაბნევის, გა-
 ცალკეულების საჭიროებას კი არ ვქადაგობ,
 როცა ვამბობ, აზრების ბრძოლა და შე-
 ტაკება სსსარგებლთა ჩვენი საზოგადოე-
 ბისთვის მეთქი. სრულიადაც არა. ვი-
 ბრძოლეთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს
 მეორის შესედულება შეუტაკოთ, ვეცა-
 დოთ ხალხი მონაწილე გაუნადოთ ამ
 ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა, და
 მერე, თუ ნამდვილად მამული გვიუფარს,
 თუ მისი სიკეთე კერძო თავმოყვარეობა-
 ზედ უფრო დიდთ მიგვანჩნია, უკუა იმ
 გადაწვევტილებას დავადგეთ, რაც უმ-
 რავლესობაში მიიღოს. ამ უმრავლე-
 სობისგან მიღებულის გადაწვევტილების
 ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გა-

მოსადგო დისციპლინას და არა ფეხდ-
 თუბლური მონობა ერთის რომელიმე კერ-
 ზისა, — და არა თვალდახუჭული დაჯერება
 იმისი, რასაც ეს კერები წამოროტავს ან
 ბრძანებს.

ათასჯერ შეტაკებულან მწერლობაში და
 ჰარლამენტში გამბეტა და ლუი ბლანი,
 მაგრამ არც ერთის მათგანისთვის ამ შე-
 ტაკების სიმწარესა და დაუზოგველობას
 არ დაუშლია ერთად ეფუნა ყველა იმ
 კითხვებისა და იმ საგნების განჩევასა
 და განსჯაში, რაც რესპუბლიკის ინტე-
 რესებს ეხებოდა. საქმე რომ კენჭის ფრა-
 ზე მივარდებოდა, გამბეტას კენჭი და
 ლუი ბლანის კენჭი ორივე ერთსა და
 იმავე უჯრაში ერთად ვარდებოდა, ორი-
 ვე ერთად ან „ჰეს“ ამბობდენ, ან
 „არას“. ერთი მეორის ჯიბრით კი არ
 მოქმედებდა, ერთი მაშინ რადი იძახე-
 და „არას“, რაცა მეორე „ჰეს“ იტ-

უოდა. უთანხმოება მათ შორის მარტო
 იმასე იყო, — მტერს რა გზით მოჰყ-
 რითოთ, მაგრამ მტერსე რომ საქმე
 მივარდებოდა, თრეუე ხან ერთხანად
 ებრძოდა მტერს, ხან თითოეული თავი-
 სებურდა... ერთი ფიქრობდა ან ამტკი-
 ცებდა, სჯობია მუშტი თავში ვერათო,
 მეორე უფროდა, არა, ფურდში ან ზურგ-
 შიო. მტერს ხომ თავისი საკადრისი არ
 აკლდებოდა... სახეირო დისციპლინა ამა-
 ში მდგომარეობს მეთქი. დისციპლინა
 მარტო მაშინ იქნებოდა დარღვეული,
 მოწინააღმდეგე მტრისათვის თავი რომ
 დაეხებებიათ და მუშტები ერთმანეთისა-
 თვის დაერთოთ, მტრის სასარგებლოდ
 და სასიხარულოდ. ამას კი ხომ მარტო
 ჩვენში შერებიათ, და არა საფრანგეთში,
 უმეტრები, და არა გონიერები.

რაც ჩვენის მომავლისთვის საჭიროა,
 იმას ჩვენ როდი ვიკარებთ, მაგირად

მკენებელს კი გულში ვიხუტებთ. აზრების სიუხვეს, შედარებას, წინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვით ვთვლით ვდეენით; გვგონია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა უველა ჩვენის ქვეყნის შვილები თვალ ახვეულად ერთს მოთავეს გაუვებან... ამას ვუძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწყობთ. განა ეს უბედურება არ არის, მაშ რა ცხრობაა?!

დისციპლინა დიდი რამ არის ხალხის ცხოვრებაში. დიდი უბედურებაა ხალხისთვის, როცა მისი გონებითი და ფიზიკური ძალა დაფანტულად, უთავბოლოდ, უგზო-უკულოდ იხარჯება. შრომისა და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერძო ზირი, რაგინდ გონიერი იყოს, მარტოხელად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი

ან ათი ათასი გენიოსი, ცალცალკე მშრო-
 მელი, ვერ გაარიგებდა. დიდი ეკონო-
 მია, დიდი სარგებლობა ან სიადვილე
 მოსდევს შრომის გონიერ შეერთებას:
 ჯაფა მაშინ უველას უადვილდება და შრო-
 მის ნაყოფი უველასთვის მატულობს. მაგ-
 რამ შრომის შეერთება იმას კი არ ნიშ-
 ნავს, რომ უველა მშრომელი მარტო
 ერთ მოთავეს თვალში უნდა შეახერდეს
 ან ბრძად ასრულებდეს მის ბრძანებას.
 ათასიც რომ იყოს ამისთანა მშრომელი,
 მათი შრომა მაინც მარტო ერთი კაცის
 გონება იმუშავებს. გონიერი შრომის შე-
 ერთება, რიგიანი დისციპლინა იმაში
 მდგომარეობს, რომ ამ ათასი კაცის
 ტვინი და გონება საქმეს ეხმარებოდეს,
 რომ რაც მათ ძალა ან მოხერხება აქვთ,
 სულ ერთიანად შრომაზედ იყოს მიქცეუ-
 ლი, რომ ამ ძალისაგან ან ამ მოხერხე-
 ბისაგან არაფერი იკარგებოდეს... მაშინ

საქმე კარგად წავა და ერთი მოთავის
 ბედზე როდიდა იქნება დამოკიდებული
 საქმის, ქვეყნის იღბალი. თუნდ მოკვდეს
 ეს მოთავე, თუნდ წახდეს, თუნდ შეც-
 დეს, თუნდ ათს სხვა მოთავეს დაემარ-
 თოს ამგვარივე უბედურება, მშრომლების
 საქმე მაინც ხეირიანად წარმართული იქ-
 ნება: მაშინ, როცა საჭიროება მოით-
 ხოვს, თათქმის თათოყულს ამ მშრო-
 მელთაგანს მოთავედ განდგამა შექმლება,
 და საქმე უზატრონოდ თავის დღეში აღარ
 დარჩება. მაშინ მოთავე მარტო დროშას
 საქმის, ის დროშა, რომლის გარშემოც
 რიგზე დგებიან გონიერი მშრომელები.
 მაშინ ეს დროშა მარტო მას მიეპარება.
 ვინც ვეუფაზე უფრო მადალია, ვისაც სხვა-
 ზე უფრო შირს უჭრის თვალი... სულ სხვა
 ხაირად მიდის საქმე, როცა გრავას დის-
 ტიბლიანად ბრმა მორჩილება მიახნია, მა-
 შინ მოთავეს, მედროშეს დაცემა, ან უბ-

რაღონი შეცდომაა ორი ან ოცდაათი წლით
 ახდენს საქმეს. მისი რაზმი მაშინ ან
 ცხვრებსავე იფანტება, ან ბრძალ მი-
 ჰყვება ხრამისკენ, სადაც ტალახში ჩა-
 თვება ან დაღუპვა ელის... ჩინებული,
 გონიერი, უნაკლული რომ იყოს ამგვარ-
 ი ბრძა გრძელის მოთავე, ამას მაინც
 ის ეძვრებინებს საქმისთვის, რომ გონიერ
 რაზმს თუნდ უხეირო მოთავე ჰყვანდეს...

ნუ დავივიწყებთ ამას, და ამ მხრით
 გადავხედოთ აბა ჩვენს მდგომარეობას.
 აქაც შევეყრებით ზოგიერთს ისეთს კა-
 ნონს ისტორიული განვითარებისას, რომ-
 ლის ცოდნაც უსარგებლო არ იქნება
 ჩვენთვის.

VII.

უწინდელს დროში ჩვენს საზოგადოებაში მარტო ბრძა დისციპლინა არსებობდა. მთელი მხარე ან მთელი ხეობა, ან მთელი სოფელი ერთს კაცს მიჰყვებოდა, ადგილობრივს დიდ-კაცს, დიდს მებატონეს, დიდ-შეძლებულს კაცს... ბევრს უნდა ახსოვდეს, ჩვენში, რა ხმა და გავლენა ჰქონდათ თავთავის მაცრებში ამგვარ მებატონეებს, ან ერის-თავეებს. რასაც ისინი „ბრძანებდნენ“, იმას მთელი ხალხი გამოუკვლევლად იჯერებდა. როდი ვინმე კითხულობდა, თუ რისთვის ბრძანეს, რა საფუძვლით, ან ამ ბრძანებას რა შედეგი მოსდევს. გიორგი ბატონმა ბრძანა, „გეორგ-აღამ ასე ინებო“, და დანარჩენი ხალხი ისე თვალსუფილად მისდევდა ამ ბატონების სიტყვებს, როგორც ცხვრის ფარა თხას გა-

ჭეუება ხელში. დღესაც ბეგრია ამისთანა მკაცლითი ჩვენს თვალ-წინ. დღესაც ბევრს ალავს მინასავს, რომ დიდი ჩინით ან დიდი სიმდიდრით აღჭურვილს კაცს, გონებით ვი ღარიბს და ხსნათით სუსტს, უშველებელი ხმა და გავლენა ჭქონოდეს სწოვადრებისში. ათასი და ათათასი უჯერის მას, და იმას ვი არაფინ კითხულობს, მართლაც ჭკუისთვის ან ზატოხსნებისთვის მისცეს ეს ჩინი, მართლაც ჭკუითა ან ზატოხსნებით მოიგო ეს გავლენა?.. ჩვენი ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ამ შირველ-დროინდელს მდგომარეობაშია.

მართლაც ახალგაზდობის მცირედი ხაწილი გამოვიდა, როგორც იქნა, ბრმა მონების კლასტებიდგან, და, რასაკვირველია, იმწამსვე მეორე უბედურებაში ჩავარდა. როგორც ამ წერილის დასაწყისში ვამბობდი, რომ კატობრიობა თვალ-ახუუვლად დაეხეტება ერთი ხრამიდგან მე-

ორესკენ-მეთქი, ჩვენი ახალგაზდობაც ისე
 მოიქცა... ადვილად მიხვდა, რომ უშვე-
 ლებელი უგუნურობა ყოფილა ეს ბრძა
 მორჩილება: რაკი ამასე შუბლი მიასხადა,
 ის მოტრიალდა და ზინდაზინ მეორე
 გზას დაადგა: „ადარავის დაუმორჩილე-
 ბი, სხვისას ადარათურს ვიწამებ, მარტო
 ჩემს საკუთარ შესედულებას გაუგებობი,
 მარტო ჩემს გონებას ვინცობო“! უწინ-
 დელს მონობას უეჭველად ეს შედეგი უნ-
 და მოეტანა. ამის გამო, ეხლანდელი
 ჩვენი ახალგაზდობა დაიხანტულია გონე-
 ბითად: ზოგი მარჯვნივ მიდის, ზოგი
 მარცხნივ, ზოგი წელისკენ მიიწევს, ზო-
 გი ტუისკენ, ზოგი სტის, ზოგი წევს,
 ზოგეც სეირნობს... ორ კაცს ვერ მო-
 ძებნი ამ ახალგაზდობაში, რომ ერთი
 და იგივე რწმენა ჰქონდეს, ერთი და
 იგივე იმედი ან შესედულობა, რომ ვეუ-
 ლათურში, რაც კი საზოგადო ცხოვრე-

ბის უმთავრეს მხარეებს შეადგენს, თანახმანი და ამხანაგნი იყვნენ. ერთს ასე უჭრის გონება, მეორეს ისე, და ორივე თავისებურად მოქმედობს. ჩვენი ძველები რწმენა, ტრადიცია, დანდობა, მიუღალა, სიუფარული მათში იმავე დღეს დაიკარგა და გაჰქრა, როცა ძველი „ბრძამანება“ შეეზიზღათ. მაგიერად ახალი მეცნიერების ძალას ჯერ კიდევ ვერ დაუშურია მათი გონება, ვერ აუხსნია მათთვის, თუ რა გამოსადეგია, რა საჭიროა გონების ან ფიზიკური ძალის შეერთება და ერთ მიზნისკენ მიმართვა. ჩვენს ახალგაზდებს რომ ამ ახალი მეცნიერების სიღრმე გაეზომათ, ნამდვილად რომ გაეცნოთ მისი უმთავრესი მხარეები, კარგად ეცოდინებოდათ, რომ ძველი, ბრძამწმენის მაგიერ გვარიანი ხანია აშენებული ეოფილა ახალი მეცნიერება, რომელიც უველასთვის საერთოდ დასაჯერე-

ბელაია... მაშინ საზოგადო ცხოვრების უმრავლეს კითხვებზე უკვლას ერთი და იგივე შეხედულება ექნებოდათ, სწორედ ისე, როგორც ვერაფერ იტყვის დღეს, ჩემის გონებით მინდა ვიარა და ამიტომ არ მინდა დავიჯერო, რომ არაფერ არი თხიანა!.. საზოგადოებრივი მეცნიერება ხეირიანად შესწავლული და გაცნობილი რომ ჰქონდესთ ამ ჩვენს ახალგაზდებს, ჩვენი საზოგადო კითხვების უმეტეს ნაწილზედაც ერთი აზრისა და შეხედულების იქნებოდენ, ისე, როგორც უკვლას, თანახმაა ახლა იმისი, რომ არაფერ არი თხიანა, ან იმისი, რომ სახლის ასაშენებლად ჯერ საძირკველი უნდა გათხაროს კაცმა, მერე კედლები ამოიყვანოს, და მერე ჭერი გააკეთოს, და არა ამ ჭერის გამართვით დაიწიოს სახლის შენება... ჩვენი საზოგადოება ჯერ არ მოსწრებათ ამ უკანასკნელ განვითარებას. დღეს ჩვენ

იმ ზერიოდში ვდგავართ, როცა ჩვენი ხალ-
 ხის უმეტესი ნაწილი ისევ ძველებურს
 გონებითს სიბრძნეში იმყოფება, და ახალ-
 გაზღობის უმეტესი ნაწილი კი ამ სიბრ-
 ძნის სიძულვილით დაფანტულად ცალ-
 ცაღვე დახეტიალობს. ამ ხეტიალის
 უსარგებლობა და მავნებლობა ბევრს ესმის.
 ბევრი ქადაგობს, არ ვარკა ამგვარი და-
 ფანტულობაო. ბევრი იხვეწება — ერთობა
 ვიქონიოთო, ერთი მიზნისკენ წარუქმარ-
 თოთო. მაგრამ რადგანაც ამ ქადაგობას
 მიზნად მარტო უწინდელი ბრმა მორჩი-
 ლების აღდგინება აქვს, რადგანაც ჩვენ
 მოთავეებს ის არ ესმისო, რომ აუცი-
 ლებლად სჭირდა აღვილი და კმაყოფი-
 ლება მიეტყეს კერძო ზირის გონებას,
 ამისგამო „ერთობის ქადაგებას“ ხაყო-
 თი არ მოაქვს ჩვენში. როგორც ხალხში
 ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარ-
 დება, როცა ამისი ეკონომიური ცხოვ-

რებს გათანასწოვრდება, როცა ხალხი ეკონომიურად გათავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა*), სწორედ ისე ახალგაზდობის ცნობრებაში, გონიერი და საჭირო დისციპლინა მარტო მაშინ დააწესდება, როცა ჩვენი მოთავეები ბრმა მორჩილების ძეხვას დაივიწყებენ, და მარტო თავისი განების ძალით, მარტო თავისი მიზნის სიწმიდით, ან საფუძვლების შეურყევლობით მოიგებენ ახალგაზდობის შემუშავებულს, მოწიფებულს, თვალ-ახელიდს განებსა...

*) ამ საგნებზე, განსაკუთრებით, იმაზე, რომ ამ განთავისუფლების შეძენა მოხერხდება ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების აგრალურსა და მელიორატიულს პოლიტიკაზე დამყარებით, ბევრი ვიქადაგე ამას წინათ 1873—1876 წლების მწერლობაში და საზოგადო კრებებზე.

დამწერის ახალი შენიშვნა.

ამის მაგიერ ჩვენი მოქმედი ზირები
 იმ საქტიელს ადგიან, რომელიც მხო-
 ლოდ მტირე საქმეს, ვიწრო ამხანაგობას,
 უმომავლო მიზანს შეკუერება, და არა
 დიდს, სახალხო, საქვეურო საქმეს. მე
 და შენ რომ დავძობილდეთ, მკითხვე-
 ლო, მარტო ჩვენი კერძო სარგებლო-
 ბისთვის, და რამე ჰატარა საქმე გამო-
 ვიწყოთ, ვსთქვათ დუქანი გაუალოთ, იმ
 მიზნით, რომ სიმდიდრე შევიძინოთ,
 გავდიდკატდეთ, გავკეთდეთ, — ამისთანა
 საქმეში ჩვენ იქნება ყოველი საშუალება
 გამოგადგეს: სიტრუეტ, მოტუუებატ,
 ინტრიგატ, და კაკლეჰატ. თუ ვიშოვეთ
 ამით რამე, ხომ კარგი, თუ არა და—
 დავკეტთ დუქანს, გავიტანთ საქონელს,
 და მერე რატ უნდა ის ჰქნას მოტუუე-
 ბულმა ხალხმა, რატ უნდა ის სახელი
 დავგარქვას. ხომ ასე შვრებიან ყველა
 „ვიწრო მიზნის მიმდევრები“? მაგრამ

თუ იმისთანა საქმეს ვიწუებთ, რომელ-
 საც საშვილი-შვილი ხასიათი აქვს, რა-
 მელსაც არც გაქტევა მოეხმარება, არც
 აკრეფა, მაშინ ხომ სულ სხვანაირად უნ-
 და მოვიქცეთ? ხომ აღარ გამოგვადგება
 მაშინ თინობა, ხომ ვერაფერს მოვა-
 სერებთ ინტრიგით, სინდრუით ან ტყუ-
 ლით? მაშინ ხომ თითოეული ჩვენი
 სინდრუე ჩვენს შვილსა და შვილის-შვილს
 დაატუდება თავზე? ხალხის საქმეც ამნაი-
 რია. რაც კი რამ გაკეთებულა ქვეყანაზე
 დიდი ან სახეირო, ხალხისთვის, გაკე-
 თებულა აშკარად, საქვეყნოდ, პირდა-
 პირ, მარტო პატრიარხის საშუალებით,
 მარტო ნამდვილის ძალით, გონე-
 ბითის ან ფიზიკურის ძალით, და არა
 თინობით, პირფერობით, ფარისევლო-
 ბით, და სხვა ამ რიგი საშუალებით.
 მარტო „კლიკას“, ავანკურის ბრძოლს შე-
 ეფერება ქვეშქვეშურად მოქმედება საზო-

გადო ასწარეზზე, მარტო უმომავლო
 ხალხს, დატეხულს და უიმედო საზოგა-
 დობას მოუხდებს დათვაროს თავისი თავი,
 თავისი მიზანი და საშუალება, და ჩუმი-
 ჩემად, მალეულად ეძიოს თავის ხსნა...
 ნუ-თუ იქამდე დაეცა ჩვენი ხალხიც, იქამ-
 დი ბოლო მოელო საქართველოს, რომ
 ამნაირი უმომავლო და უიმედო ქვეყნად
 უნდა. ჩავთვალათ? ნუ-თუ მარტო იესუ-
 ტური გზა დარჩენილას მის საშუალებად,
 მარტო ობიექტის, სიტრუის და თვალე-
 ბის-ახვევის გზა? ნუ-თუ ჩვენი ხალხი
 იმდენად დატეხულა, იმისთანა უიმედო
 მდგომარეობაში ჩავარდნილას, რომ ვეღარ
 აიტანს იმ შრომას, ვერ დაადგება იმ
 გზას, ვერ მოინულებს იმ საზრდოს,
 რომელიც სხვა ხალხს აბედნიერებს ან
 აძლიერებს? თუ კი ის იმდენად უიმე-
 დოა, რომ არც ზირდაზირი აზრის მუ-
 ჭაობის მოხელეებს შეუძლია, არც საკუთა-

რის უსწორ-მასწორობის გადასწორება, არც შინაგანის ნაკლულეუვანების შემხნევა და მორჩენა, არც გონიერად შრომა თავის კეთილდღეობისთვის, — ხალხი კი აღარ უოფილს, ველურთ უბანი უოფილს, სულითა და გულით დატყუელი, და რაღას უშველის მასზე ზრუნვა ან მისთვის შრომა?... მაინც ხომ ვერ აღადგენს მკვლარს ეს იეზუიტური და მიმადინებელი გზა, ეს საზოგადო გონების დამსშველი მოქმედება!

VIII.

მაგრამ ეს ტყუილია, — ჩვენი ხალხი, დღითის მადლით, შორს არის ამგვარ-უიმედო მდგომარეობისაკან. ღმერთმა ნუ ჰქნას, ამისთანა უბედურებაში რომ ჩავარდეს. მაშინ ის ჩვენგან აღარავის ეევა-რება, თავს მაშინ მისთვის არავინ დას-

დებს, შრომას ადარაფინ იკისრებს... მას
შინ უფული კაცი მას ისე მოეჭურბა,
როგორც თითოეული ჩვენგანი ეკლესიის
წინ დავარდნილ კუტს ექცევა: შეიბრა-
ლებს, გული დაეწვის, მოწყალებას მია-
წოდებს, მაგრამ ჰირს მანტ მიიბრუნებს:
ხომ მანტ ფეხზე ვერ დავაუქნებ, კარად
ხომ მანტ ვერ გავხდი ამ საბრალდოს!
მარტო ის აიფანს, მარტო ის უხატრო-
ნებს, ვისაც სურს, რომ ამ კუტის ჩვე-
ნებით გროშები შეაკროფოს, მისი მა-
ხინჯობის გამოფენით თავისი საკუთარი
თავი ირჩინოს... ამგვარი კაცები კი ხან-
დაისხან განგებ ამხინჯებს უმიხეთაც
ბუნებისგან გალახულ კუტს... უგულთ
კაცის მეტი აბა ვინ დაადგება ამგვარ
საქციელს?

არა, ჩვენი ხალხი ამისთანა მდგომარეობაში არ ჩავარდნილა. ის სულ სხვა-
ნაირი სამსახურის დირსია. დირსია, რომ

მისი საქმეც ისე წაიფანტოს მისმა მოთა-
ურებმა, როგორც უფუელი ხეირიანი ხალ-
ხის საქმე წაუფანტა ქვეყნიერებაზე. ეს
ჩვენი ხალხიც ღირსია, რომ გონება გან-
უფუითარეთ, აწრის მუშაობას შეუახვი-
ეთ, საკუთარის ხელით მოვაწმენდინეთ
მისი წულულები, საკუთარის შრომით გა-
ვამართვინეთ სამართლიანი ჭაწვობილება,
საკუთარის მუხლით სიარული დავაწეობი-
ნეთ, და უფუელა ამას, ხომ, მარტო პირ-
დაპირი, უფუელსთვის აშკარა თვალსაჩინო
შრომა მოიტანს... მაშ ტირილსა და გო-
დებსა თაფი დავანებეთ, დავიფიწეთ უხე-
ირო ოინები, ნუღარ ვიკადრებთ იმ კლას-
ურ ცრემლის ჩვენებსა, რომელსაც ამო-
დენა ხანია მისცემია ჩვენი მწერლობა!
ათასიც რომ ვიბღაფეთ ქართულ ენაზე
„ვაიმე, დედა, გვკლავენ, ვაიმე, დედა,
გვამშევენ, ვაიმე, დედა, არვინ გვწყა-
ლობს“, — ეს მარტო გუტის ჩვენებსა ან

კუტის ექსპლაცატის ემსგავსებას. ამით
 მარტო ათიოდ კროშს შევაგრძობთ,
 მეტს ვერას მოვახერხებთ, ჩვენი სისუს-
 ტისა და გლახაკობის გამოჩენას გარდა.
 თუ მართლაც საიმედოთ მიგვაჩნია ჩვენი
 ხალხი, თუ მართლაც გვწამს მისი მომა-
 ვადი, თუ მართლაც და გუელწრთეადად
 გვინდა მისი მსახურება, ერთი სიტყვით,
 თუ ნამდვილად გვიუვარს ჩვენი მამული,
 ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, რე-
 კორც მატერიალურის მხრით—სამართ-
 ლიანად ეკონომიურის გაწეობილების და-
 თუქმებით, ისე ზნეობით—მისი განე-
 ბისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმე-
 დი უნდა ჩაუყურგოთ მას, რომელიც
 ჩვენ თითონ ვაქვს, იმ მომავლისკენ
 უნდა მიუბრუნოთ ზირი, რომელიც ჩვენ
 გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ,
 რომელმაც უკუაა სხვა ხალხი გააძლიერა
 და გააბედნიერა. მარტო ის ხალხიათ ღირ-

სი ბედნიერების, სთქვას ვიქტორ ჭიუგომ
სომხებზე, რომელიც მომავალს შეხერე-
ბიათ; და ვინც მარტო წარსულს შეტქე-
რის, ის სამარეს ითხრისა...

მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქცნიათ,
მარტო ჩვენს ძალას მივენდეთ,
მარტო ჩვენს გადაღებებსა და
განათლებას ვიშრომეთ—მა-
შინ მეგობარიც ბევრი აუხნდება ჩვენს
ხალხს და დამხმარებელიც*). ხალ-
ხის ცხოვრებაშიაც ის კანონი მოქ-

*) აი, ქართულ მწერლობაში ამ მიმარ-
თულების შემომღებს ახლა აზეფის და გა-
პონის ბრმა მიმღევრები ცილს სწამებენ,
ვითომდა ხალხს სულ იმას უქადაგებდა,—
მარტო ბიუროკრატის იმედით იყავითო,
მის გარეშე საქართველოს შეველა არ მოე-
ლისო! ნახავთ, არც აწი მოინანებენ ამ
ცოდვას!

დამწერის ახალი შენიშვნა.

მედებს, რომელიც აღებ-მიცემის დედა-ბურჯად ღვას: უველა მარტო იმ კაცს ენდობა, მარტო იმას ასესხებს ფულს ან კრედიტს გაუხსნის და შემწეობას მიცემს, ვისაც თავისი რამ აქვს შესაფერი. — აი ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ჯერ ჩვენი რამ შევიძინოთ, ჩვენდათავად გავძლიერდეთ, ჩვენი მუხლი და წელი გავიმაგროთ და მაშინ ერთი დასტვენის მეტი არაფერი დაგვჭირდება: მაშინ უველას ჩვენი ნდობაც ექნება, ჰატივიც და რწმუნებაც. მაშინ უველა მეგობრებად გაგვიხდება და შემწეობას არაფინ დაგვაკლუებს. მაშინ ჩვენდა-თავად არც ტირილი დაგვჭირდება, არც გოდება, არც ზღუქენი, არც ჩურჩული. და სანამ ამ „საკუთარის გაძლიერების“ გზას გუღდაგუღ და ჰირდაჰირ არ დაუადგობით, მანამდი კი ათასიც რომ იბღაუღოს ჩვენმა მწერლობამ, ათასიც რომ იხურ-

ჩუღან ჩვენმა მოქმედმა ზირებმა, კაცი
 უურადლებას არ მოგვაქცევს და შემწეო-
 ბას არ გვაღირსებს, ეგუფას ის აზრი ექ-
 ნება თავში: „სუსტი ხარ, ქვეყანაზე აღ-
 გიფი რათ გიკავია, თვალს რათ გვიჭრი
 შენის წუღულების ჩვენებით, რა გიყო, რა
 გიშეულო, ხომ ფეხზე ვერ დაგაყენებ, თუ
 შენდა-თავად წამოდგომას არ შეგიძლიათ!“!

მოახერხებს ეხლანდელი ჩვენი თაობა
 ამ საქმის წაუგანას, ამ მიზნის მიწევნას
 კი არა, ძებნას? არა მგონია. ერთობ შე-
 ჩვეულია ის ზღუქუნსა და ტირილს,
 ერთობ ნაჩვევია სხვისი იმედით ეფიფნას,
 ერთობ გადაჩვეულია სიარულს, საკუთარის
 ძალით სარგებლობას... დროა, დიდი ხა-
 ნია დროა, რომ ახალმა თაობამ მიიხედ-
 მოიხედოს ამ ჩვენს მდგომარეობაზე და
 გარკვეულად შეუდგეს იმ შრომას, რე-
 მულსაც დღეს ჩვენის მამულის სარგებ-
 ლობა მოითხოვს...

...თანდათან გვიახლოვდება ახალ-ახალი ქვეყნის მოძრაობა... ოცე წელიწადი არ გაივლის ისე რომ ჩვენი ქვეყანა, ან ჩვენის მამულის ახლო-მახლო მდებარე ქვეყნები, მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის შუა... მაშინ რუსეთისთვის საჭირო და დასაფასებელი იქნება ჩვენი-ხალხის დახმარება... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზა-მზარეული დახვდება ამ ბრძოლის ზირველ კიუჩის, ვისაც მაშინ ხამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისტინქციონა. მარტო ამხანაგად დამარაგებულ ხალხს ექნება მაშინ ადგილი ხალხთა საერთო ტაბლასე... და ვინც მაშინ დაფანტული, უძლური იქნება, მას არავინ უურადლებას არ მიაქცევს...

მხედველობაში ვიქცნით დაახლოვებული მომავალი. ნუ ვიზამთ კი, რომ

უწინდლურად უძლური და დაფანტული
 დაესწროს ჩვენი ხალხი ამ გარდამწყვეტს
 ბრძოლას... ნუ მფინდამებთ, რომ ჩვე-
 ნი მეზობლები ვაჟბატონურად ტახტას
 გარშემო დასხდენ, და ჩვენ კი ჩაუღაპვს
 მფინდამენ, ამ სიტყვით:

«Покорись—о, ничтожное племя!
 Неизбѣжной и горькой судьбѣ,
 Захватило васъ трудное время
 Неготовыми къ трудной борьбѣ.
 Вы еще не въ могилѣ, вы живы,
 Но для дѣла вы мертвы давно,
 Суждены вамъ благіе порывы,
 Но свершить ничего не дано»!..

1879 г.

ამ წიგნის ავტორის, ნ. ნიკოლაძის, ნაწერთაგან ცალკე წიგნებად დაბეჭდილია შემდეგი:

1. „საახალწლო“ აღმანახი, ვ. შავერდოვის გამოცემა. თფილისი, 1880.
2. ნ. ნიკოლაძის ნაწერი. წიგნი პირველი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემული მეორედ. თფილისი, 1890.
3. იაპონია. ძველი და ახალი უენიშვნები. გამოცემა „ცოდნის“ წიგნის მალაზის. თფილისი, 1905.
4. „Горѣ имѣимъ сердца“! Тифлисъ, 1906.
5. „Полукопеечный сборъ“. Доклады и статьи съ неизданнымъ очеркомъ „Мечта и жизнь“. Поты, 1908.
6. Изъ архива Н. Я. Николадзе. Основные изъяны дворянскихъ школь. Поты, 1910.
7. Кавказское марганцовое самоуправленіе. Петербургъ, 1910.

8. „ჩემ პოლიტიკაზე“. გაზეთის „იმერეთის“ საპასუხოდ. ქუთაისი, 1913.
9. Du désarmement et de ses conséquences économiques et sociales. Dissertation de doctorat présentée à l'université de Zurich. Par N. Nikoladzé. Genève, 1868.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ.
წიგნის მალაზიის გამოცემულია
შემდეგი წიგნები:

1913 წლის 1-ს სექტემბრამდე:

1. **გუთანი**, ოჯახსა და შკოლა-
ში საკითხავი წიგნი, შედგენილი
ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა
და ს. ყიფიანის მიერ, მეორე
შესწორებული და შევსებული
გამოცემა, ყდით..... 17 შ.
2. **ქართული გრამატიკა**, ს. ხუნ-
დაძის, მესამე შესწ. და შევსებ.
გამოცემა, ყდით..... 3 აბ.
3. **ქართული გრამატიკა**, პირვ.
დაწყ. შკოლებისათვის, მისივე. 1 აბ.
4. **პირველ-დაწყებითი დარღვე-
ბა საღვთო სჯულის სწავ-
ლებაზე**, არქიმანდრიტ. ნესტო-
რის (ყუბანეიშვილის), ყდით.. 6 შ.
5. **სამზოგლოს აღწერა**, საქარ-
თველოს გეოგრაფია, ს. რობა-

- ქიძის, სახელმძღვანელო სურათებით და რუკით, ყლით.....10 შ.
6. **ბატონყმობა საქართველოში** რუსეთთან შეერთებამდი, პროფეს. ხახანაშვილის, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა10 შ.
7. **ეტიუდები XIX საუკ. ქართ. ლიტერ. შესახებ**, კ. აბაშიძის, ტომი I და II, თითოეული ...14 შ.
8. **ქართული წერის დედანი**, ს. დათეშიძის..... 5 შ.
9. **შექსპირის დრამები: ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი**, ყრმათათვის ნაამბობი ს. ყიფიანის მიერ, მეორე გამოცემა ... 1 აბ
10. **ლოცვანი**, მღვდ. ა. გერსამიასი, განმარტებით 2 შ.
11. **პირველ-დაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა**, ა. ჭიჭინაძის . 3 აბ.
12. **მოკლე ქართული გრამატიკა**, ი. ნიკოლაიშვილის 1 აბ.

ამა 1914-ში:

1. ნ. ნიკოლაძის ნაწერი, წიგნი მეორე, მამულის სიყვარული და მსახურება, გადმობეჭდილი 1880-ს „საახალწლო“ აღმანახიდგან 1 აბ.

P. S. ამავე მალაზიის გადაწვეტილი განზრახვაა, გამოსცეს ნ. ნიკოლაძის სხვა ნაწერებიც.

1256 ამ წიგნის ავტორის, ნ. ნიკოლაძის, ნაწერთაგან ცალკე წიგნებად დაბეჭდილია შემდეგი:

1. „საახალწლო“ აღმანახი, ვ. შავერლოვის გამოცემა. თფილისი, 1880.
2. ნ. ნიკოლაძის ნაწერი. წიგნი პირველი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემული მეორედ. თფილისი, 1890.
3. იაპონია. ძველი და ახალი შენიშვნები. გამოცემა „ცოდნის“ წიგნის მალაზიის. თფილისი, 1905.
4. „Горѣ имѣимъ сердца“! Тифлисъ, 1906.
5. „Полукопеечный сборъ“. Доклады и статьи съ неизданнымъ очеркомъ „Мечта и жизнь“. Поты, 1908.
6. Изъ архива Н. Я. Николадзе. Основныя изъяны дворянскихъ школь. Поты, 1910.
7. Кавказское марганцовое самоуправленіе. Петербургъ, 1910.
8. „ჩემ პოლიტიკაზე“. გაზეთის „იმერეთის“ საპასუხოდ. ქუთაისი, 1913.
9. Du désarmement et de ses conséquences économiques et sociales. Dissertation de doctorat présentée a l'université de Zurich. Par N. Nikoladzé. Genève, 1868.

616/65

